


140
1969



ჯანგჯან

11
1969

**მხალ-
ბაჭყალი
წითელ-
ანგონელის
გადაცვა**



არკალი კლაპუკი

უღმერთი პოეტი

მხატვარი

დირიჰტორი ზარაზიშვილი

უღმერთო სიცივით სავსეა თავლა,
აქ წითელარმიელს სიკვდილი ელის,
ყინვა აცანცახებს, თან სიცხე თანგავს,
მაგრამ შეუპოვარს სიმტკიცე შველის.

სიკვდილი ამ ჭაბუკს ვერ დასძლევს, ვერა,
ცხრაჯერ რომ დამარხოს, აღგება, სჯერა.

კოლჩაკმა შეიპყრო ბრძოლაში დაჭრილი,
დაუნდობელია გენერლის მახვილი.

ჯალათებს უბრძანა:

— დაჭკითხეთ ცემით,
კრინტი თუ არ დასძრას,
დაჭკიდეთ ენით!

მერმეც თუ არ გატყდეს, დახვრიტეთ მაშინვე!
ჭაბუკს კი სიკვდილი ვერა, ვერ აშინებს.

მან ბრძოლით არბია რამდენი წყვილიაღი
და დარჩა ბოლომდე ამაყი, ზვიადი,
ვაუკაცს შეემატა სიმტკიცე ფოლადის,
ათას ჭირს გაუძლო, არ გატყდა ბოლომდის.

ჰა, წივის მათრახი... უშენენ წიხლებს...

ჰგავს გმირი ვაუკაცი უძლეველ ციხეს.

— ამაოდ მიშტერებ, სიკვდილო, თვალებს,

მე ოცდაერთი წლის გავხდები მალე!

— რაზმში რამდენი ხართ, გამოტყუდი ჩქარა!

— ჩვენ ვართ მილიონი! — ხმა რეკავს ზარად.

— შენ კომუნისტი ხარ?

— ვარ! — ამბობს რიხით.

ჯალათმა სახეში ჩაარტყა წიხლი.

წამება გრძელდება...

ეცლება ძალა,

მაინც შეუპოვრად შეხედა ჯალათს:

— ამაოდ ირჯები, ვერ მომკლავ, ვერა,

მე ჩემი ოცნებით ვიცოცხლებ, მჯერა!

ჩემი წადილი ხომ წმინდაა, წმინდა,

ხალხის გამარჯვებას მოვესწრო, მინდა!

სულ ფუჭი გამოდგა ჯალათის გარჯა,
გადაიქცა მხეცად და გადაიქცა ქაჯად.
მაინც ვერ გატეხა ჭაბუკი გულმხნე...
და დასახმარებლად სხვა ჯალათს უხმებს.

ამაოდ...

და აჰა, ჭაბუკი იგი

მიჰყავთ დასახვრეტად ამაყი, მშვიდი.

მიჰყავთ და მიჰყვება სოფელი მთელი

საქართველოს ალკი მხანგალური კომიზაჰის და ვ. ი. ლენინის
სახელობის ნორკ პიონერთა ორგანიზაციის რუსკალური
საბჭოს ყოველთვიური საბავუო ჟარნალი



ЖАРНАЛ

11 - ნოემბერი - 1969

გამოცემის 43-ე წელი

საქ. კვ სკ-ის გამომცემლობა

და თავის შვილისგან სასწაულს ელის.
იმ ბიჭს მთელი სოფლის სიკეთე ჰქვია,
რად უნდა განგმიროს წყეულმა ტყვიამ?!
ზოგი იმუქრება, ზოგს სცვივა ცრემლი...
და ყველა რატომღაც სასწაულს ელის.

— ხალხო, ცრემლს რატომ ღვრი, ხალხო, ნუ დარდობ,
მე ხომ ამა ქვეყნად არა ვარ მარტო...

მილიონები საიმედოდ მიდგანან მხარში,
ჩვენს სახელს ქვეყნად ვერავინ წაშლის.
ამ მილიონებს წინ მიუძღვის ლენინი ბრძენი
და არასოდეს დამარცხდება სიცოცხლე ჩვენი!

ჭაბუკს ჯალათმა მოუქნია კონდახი რისხვით
და კბილჩამტვრეულს პირი წამსვე აევსო სისხლით.

გაზაფხულია
და მინდორში მოლი ბიბინებს,
გაზაფხულია —
ნაკადული ტბილად ღიღინებს,
გაზაფხულია
სავსე არის სიცოცხლის თასი
და ამ დროს ჭაბუკს უკან მისდევს სიკვდილი ასი.

ასსავე სიკვდილს იგი თვალში უცქერს მრისხანედ
ვაჟაკს არ უდევს გულში შიში ერთი მისხალიც.

ჰე, ამხანაგო, დააკვირდი, რა ხდება ირგვლივ,
აი, რატომღაც აირია სალდათთა რიგი,
გამოიყენე ეს არევა, ჭაბუკო, მალე,
თორემ სულს აქვე, ტყის პირას დაღევ!

ერთი ნახტომი,
ორი,
სამი...
ვაჟაკი გარბის.

არა, არ გარბის, მიჰქრის როგორც მერანი მარდი...
და მისდევს ორი ოცეული თოფშემართული,
ასი სიკვდილი თვალმრისხანედ,
ასი ავგული!
ტყეს შეერია გაქცეული, მიაგნო ვერვინ,
ტყემ თოფიანებს გზა შეუკრა ხეების ტევრით.

ჭაბუკს თავისი მიწა-წყალი, სოფელი, ხალხი,
და ეს დიდი ტყეც, უყვარდა ვით ღედ-მამის სახლი...
როდესაც გულში თითქმის ყველა იმედი დაშრა,
ამ სიყვარულმა უშველა ვაჟაკს.

ეს სიყვარული ქვეყნად ურიცხვ გამირობას ჰბადებს,
მიწას იარებს უშუშებს და უქარვებს დარდებს.
ამ სიყვარულმა სიყვარული აქცია მთებად.
ხალხი იმ ბიჭის ახალ-ახალ ლეგენდებს ჰყვება.

მიდის ვაჟაკი,
უღიმიან ველები, მთები...
ის უკვდავების გზაზე მიდის ჭაბუკურ გზებით.
მიდის,
გზადაგზა კვლავ მრავლდება ვაჟაკის გზება,
მიდის,
დრო-ჟამი მაღლიერი გალობით ხვდება.
არა, არასდროს დამარცხდება სიცოცხლე ჩვენი!..
მიდის,
წინ უძღვის უკვდავებად ლენინი ბრძენი.

თარგმნა
აბაპი გეწაძემ.

10.956



პანს ლაქე

ჩემი მეგობარი ალბერტ გოილო ინჟინერია, საწარმო „ელექტრიკის“ განყოფილების გამგედ მუშაობს. თავისუფალ დროს, ერთმანეთს რომ ვხვდებით, თავისი ცხოვრების ეპიზოდებს ისე საინტერესოდ და მიმზიდველად მიამბობს ხოლმე, რომ მეხსიერებაში წარუშლელად მრჩება. ამას წინათ, თავის ბავშვობისდროინდელ დაუვიწყარ შეხვედრაზე მიამბო.

— პირველად, ამხანაგი ლენინი 1907 წელს გავიცანი, — მოიგონა ჩემმა მეგობარმა. — მაშინ შვიდი წლისა ვიყავი, ჩვენი ოჯახი ცურისში ცხოვრობდა. ერთ დღეს მამამ მითხრა:

— თუ გინდა კრებაზე წაგიყვან, ვლადიმერ ილიას ძეს გაგაცნობ.

ოთახში, სადაც კრება უნდა შემდგარიყო, მაგიდასთან მხოლოდ ერთი კაცი იჯდა და გაზეთს კითხულობდა. მე ფანჯარასთან დავჯექი და ეზოში მოთამაშე ბავშვებს დავუწყე ყურება. იმ კაცმა, მაგიდასთან რომ იჯდა, მამას უთხრა:

— ალბათ ბავშვი მოწყენილია, თანატოლებთან უნდა თამაში.

მამამ მკითხა:

— ჩახვალ ეზოში?

მე უარი ვუთხარი, ლენინის გაცნობა მინდოდა.

ის კაცი ფეხზე წამოდგა და შემომთავაზა:

— გინდა მე და შენ ერთად წავიდეთ ბავშვებთან სათამაშოდო, და ხელი ჩამჭიდა.

ჯერ სათამაშოების მალაზიაში წამიყვანა. მე თვითონ ამომარჩევინა სათამაშოები. თვითმფრინავი და ნავი ავირჩიე. გარეთ რომ გამოვედი, დავინახეთ პატარა წყალი მოჩუხჩუხებდა. მივედი და ნავი შიგ ჩავუშვი...

თამაშობით რომ გული ვიჭერეთ, მითხრა:—ახლა კრებაზე წასვლის დროაო.

დარბაზში უკვე ბევრი ხალხი შეკრებილიყო. ყველა გულითადად ესალმებოდა ჩემს თანამგზავრ კაცს.

— ჩვენ დიდად მოხარული ვართ,



ჩემი გასწავლავანი
ლ ე ნ ი ნ ი

საქონო გაქონადი!

რომ ამხანაგი ვლადიმერ ილიას-ქე ჩვენთან მოვიდა.—დაიძახა ერთმა კაცმა.

მაშინ მივხვდი, რომ ეს კეთილი კაცი, ლენინი ყოფილა.

მეორედ ლენინს შვეიცარიაში შევხვდი 1916 წელს. იმ წელიწადს საშუალო სკოლა უნდა დამემთავრებინა. მძიმედ დავვადდი და სკოლაში სიარულს მოვცდი. ვლადიმერ ილიას ქემ შეიტყო ეს ამბავი და როცა გამოვჩანმრთელდი, ორი რუსი სტუდენტი გამომიგზავნა, რომლებიც ფიზიკასა და მათემატიკაში მენმარებოდნენ. თვითონ ლენინი კი, ფრანგულ ენაში მამეცადინებდა.

მონდომებით დავდიოდი ვლადიმერ ილიას ძესთან ფრანგული ენის გაკვეთილებზე. მეცადინეობის დროს მას ყურადღება არასოდეს არ გადაჰქონდა სხვა საგანზე, რომელიც საქმეს არ ეხებოდა, თუ ვინმე ოთახში შემოვიდოდა და გამოელაპარაკებოდა, ეტყოდა ხოლმე, მალროვეთ ვეთაყვა, საქმით ვარ დაკავებულიო.

ერთ დღეს საშინაო დავალება არ მოვამზადე. მინდოდა, მომგზობოდიშა მასწავლებლის წინაშე, მაგრამ ვლადიმერ ილიას ქემ მიზეზი საპატიოდ არ ჩათვალა და მკაცრად მომთხოვა, მეცადინეობის დაწყებამდე ჯერ დავალეხა შეასრულო.

მუშაობას შევუდექი. ოთახში ლენინის მეუღლე ნადეჟდა კრუჰსკაია შემოვიდა და, როგორც ყოველთვის, ჩაიხე მიმიპატიჟა.

— ჯერ საშინაო დავალება და მერე ჩაი!—უთხრა ლენინმა.

შემრცხვა. სასწრაფოდ შევასრულე დავალება და ლენინს ვუჩვენე.

— ახლა შეგიძლია ჩაი დალიო,— მითხრა ვლადიმერ ილიას ქემ.

მესამედ ლენინი მოსკოვში, წითელ მოედანზე, მავზოლეუმში ვნახე.

სადა, კეთილი, თავმდაბალი და გაჭირვებულის დასახმარებლად მუდამ მზადყოფი ადამიანი. აი, ასეთი იყო დიდი ლენინი.

დავცქეროდი მის ნათელ სახეს და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ის იყო, თვალს გაახელდა და მკითხავდა:

— დავალება შეასრულე?..

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილიმ.

მხატვარი
დომობრი ჯარაფიშვილი.

ლალ
სულაბერიძე

ვანის რაიონი საქართველოს ერთი მშვენიერესი მხარეა. რაიონის მარცხენა მხარეს გაშლილი ჭალები უმდიდრესი სახნავ-სათესი მიწებია. მერე მთები იწყება, რომელთა მწვერვალებიდან გურიის თვალწარმტაცი სანახაობა იშლება.

აი, ამ ჭალებსა და მთების კალთებზე დაფენილი ვანის რაიონის ლამაზი სოფლები. მთებიდან დაშვებული საკალმახე მდინარეები: სულორი და ყუმური ვანთან და შუამთასთან ასვენებენ ლოდებ-


თან ნაბრძოლებ ტალღებს და მერე მდორედ მოედინებიან ჭალებზე, სანამ რაიონს შეუერთდებიან. მაღლიანი მიწა ამ სანახებში. ძველად ამ ადგილებს საჩინოს ეძახდნენ, ხალხი ასე ამბობდა: „ქვეყანა რომ დაიმშეს, საჩინომ უნდა არჩინოსო“.

რამდენიმე წლის წინათ, ვანთან ახლოს, ახვლედიანების გორაზე არქეოლოგების ჯგუფმა, დეაწლმოსილი მეცნიერის ნინო ხოშტარას ხელმძღვანელობით, ძველთაძველი სამარხი აღმოაჩინა. სამარხში ქალის ოქროს სამკაულები იპოვნეს. ისინი საოცარი ხელოვნებით არის გამოჭედილი. გამოირკვა, რომ ეს სამკაულები ჩვენი ისტორიის ანტიკურ ხანას ეკუთვნის. ნაპოვნი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის სეიფში ინახება და მეცნიერები განაგრძობენ მის შესწავლას. იმავე მიდამოებში, გზის გაყვანის დროს, მიწაში ანტიკური ციხე-ქალაქის კარიბჭე და გალავნის ნანგრევებიც აღმოჩნდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ აქ უნდა ყოფილიყო უძველესი დროის კოლხეთის ქალაქი, მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული და სავაჭრო ცენტრი, მტრისგან მრავალჯერ გადამწვარ-დანგრეული. ეს იყო ძველად. ახლა ამ ადგილზე დღევანდელი საქართველოს ერთერთი რაიონული ცენტრი ვანი მდებარეობს. დღითიდღე შენდება და მშვენიდება ეს კუთხე.

ვანში შესასვლელი გზა უვარგისი იყო. გვერდით წისქვილის წყალი ჩაუდიოდა და ჩაყოლებზე სულ გუბებები იდგა. მშრომელებმა წისქვილის წყალი სულორის მთავარ კალაპოტში მიუშვეს და ამ ადგილზე კი სტადიონისა და სხვა სპორტული მოედნების მშენებლობა დაიწყო, გზის მეორე მხარეს კი, გა-



ზოია რუხაძე
შარბან ოჩხიკიძე.



ძირს ომი!

ჯუმბერ სხვედიანი.

ნებით მიიღო. ნიჭიერმა ბავშვებმა ისეთი მონდომება და სიყვარული გამოამჟღავნეს, რომ სულ მალე საკითხი დადგა სამხატვრო სკოლა-ინტერნატის გახსნისა. გამოცხადდა კონკურსი. შორეული სოფლებიდანაც ჩამოვიდნენ ხატვის მოყვარული ბავშვები. 38 ბავშვიდან 12 ბავშვი შეირჩა. დიმიტრი ყიფშიძე დროებით ვანში გადმოსახლდა და მთელი მონდომებით შეუდგა საქმეს.

ჯუმბერ სხვედიანი სოფელ შუაგორის საშუალო სკოლის VIII კლასში სწავლობდა, თავისუფალ დროს ხატავდა, ძერწავდა; ამ სკოლა-ინტერნატის გახსნის ამბავი რომ გაიგო, მაშინვე აქეთ გამოემართა. მისი ნამუშევრები მოეწონათ და სკოლაში ჩარიცხეს. ჯუმბერის ყოველდღე, გაკვეთილების მერე, ვანში

დაწყვიტეს მოზაიკური კედელი აღმართათ. ამ საქმისათვის, აქაური მკვიდრი, ცნობილი ქართველი მოქანდაკე და ჭედური ხელოვნების ოსტატი დიმიტრი ყიფშიძე მოიწვიეს. მოქანდაკე სიამოვნებით დაეთანხმა. დიმიტრის სკოლებიდან ნიჭიერ მხატვარ ბავშვებს მოუყარა თავი, შეამოწმა მათი ნამუშევრები, უკეთესები შეარჩია, მათი ავტორები გაიცნო, გაესაუბრა და მერე კი დაავალა ქართველი მწერლების ნაწარმოებებიდან, ხალხური ზღაპრებიდან თუ ლეგენდებიდან ესა თუ ის ეპიზოდი დაეხატათ, — ვისაც რა მოესურვებოდა.

ეხატათ მხატვრობით გატაცებულ ბავშვებს: „შემოდგომა“, „ბებიას ჩურჩხელეები“, „ჯიუტი თხები“, „ყვავი და მელა“, „ახვლედიანების გორაზე აღმოჩენილი ჭურჭელი“, „ბოეზია“, „მშვიდობა“, „ფრიადოსნები“, „შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის პორტრეტები და სხვა მრავალი.

მოსწავლეთა ამ ნამუშევრებმა რაიონის ხელმძღვანელობას ნორჩ მხატვართა წრის ჩამოყალიბება აფიქრებინა. ამ საქმის გაძღოლა დიმიტრი ყიფშიძეს სთხოვეს. მხატვარმა ეს თხოვნაც სიამოვნებით

ვიდრე მათ ეს დაავალბა შეასრულეს, გზის პირზე გრანიტის ქვის ნატეხებით, მოპირკეთებული 180 მეტრის სიგრძისა და 3,5 მეტრის სიმაღლის კედელი აშენდა. უნდა გენახათ იმ ბავშვების სიხარული, რომელთა ნამუშევრებიც კედელში ჩასასმელად მოიწონეს. რალა არ და-



მამა. (პარსონაჟი „პალინსტომის ტბიდან“). ამიკან ცაია.



მთვარის დაპყრობა. ვლადიმერ ალიუზვილი.



ყვავი და მელა. გოგი ხუკციძე.

ჩამოდიოდა და გატაცებით მუშაობდა სახელოსნოში. მასწავლებელს მოსწონდა მისი მუყაითობა, შემოქმედება. ნორჩ შემოქმედთა რესპუბლიკურ კონკურსზე მან, სხვა ბავშვების ნამუშევართან ერთად, ჯუმბერის ქანდაკება „მედოლეს“ გაგზავნა.

ყოველდღიური საქმიანობით გართულ ჯუმბერის მშობლებს თავდაპირველად ყურადღება არ მიუქცევიათ, არ

უკითხავთ, ბავშვი გაკვეთილების შემდეგ სულ ვანში რომ დადის, რას აკეთებსო. მაგრამ ერთხელ ჯუმბერს მოულოდნელად მამა მიადგა სახელოსნოში. ბიჭი სწორედ ახალ ქანდაკებას აკეთებდა. გლეხკაცს არ ეჭაშნიკა შვილის ეს საქმიანობა, — თიხის მეტი შუაგორაში რა არისო. დიმიტრი თავაზიანად შეხვდა მოსწავლის მამას, შეატყო, ამ საქმისა ბევრი არა გაეგებოდა რა და სთხოვა: ბავშვი ყოველ დღეს სოფლიდან დადის, დრო უცდებია, ჩვენთან გადმოვიდეს საცხოვრებლადო. ქვა შეაგდო ჯუმბერის მამამ სკოლა-ინტერნატში რატომ უნდა იყოს ჩემი შვილი, უპატრონო კი არ არისო. ჩაჰკიდა ხელი და წაიყვა-

ნა. სულ აღარ გამოუშვა ვანში. გავიდა რამდენიმე თვე. ერთ დღეს მამას შვილის მასწავლებელი შეხვდა და მიახარა, — ჯუმბერის ქანდაკებას მეორე ხარისხის პრემია მიუღიათ, და გაზეთი მიაწოდა.

მიხვდა გლეხკაცი, რომ შეცდა. მე-



ჩემი ფალავანი.

თიანგიჟ კოპალიშვილი.

ორე დღეს შვილი თვითონვე ჩაიყვანა ვანში და სამხატვრო სკოლაში დატოვა. ჯუმბერს ფრთები შეესხა. თავგამოდებით განაგრძო სწავლა. გულისყურით უსმენდა მასწავლებლის ყოველ შენიშვნას, სწავლა-დარიგებას.



ბორკილის მსხვრევა.

ავთანდილ დიასამიძე.

მას მერე სამი წელი გავიდა. დაოსტატდნენ ბავშვები, მათი ნამუშევრები დიდ დარბაზშია გამოფენილი. ჯუმბერ სხვედიანის ერთ ქანდაკებას ჰქვია „არ გვინდა ომი“. მთელი ტანით წინ წახრილი, დაკუნთული, ღონიერი ახალგაზრდა კაცი შეუპოვარი ძალით აწვება თავისკენ წამოქანებულ დიდ ლოდს, რომლის უფსკრულში გადაგდებას ლამობს. ლოდი ომის სიმბოლოა. მიწაზე მარად დადგმული ფეხები, სხეულის დაჭიმული კუნთები, მნახველს არწმუნებს იმ ძალაში, რომლითაც ჭაბუკი უეჭველად მოერევა ამ ლოდს. ყურადღებას იქცევს ჯუმბერის სხვა ნამუშევრებიც: „ძალის მოსინჯვა“, „თებრონე მიდის წყალზედა“ (ბარელი-




ზამთღბომა.

ბავთან კიკვიძი.

ბოგონები. ჯონი ბობაბარაშვილი.




„ძიძგი, ძიძგი, მამალო“. აშირან მალაქაძე.





„თხამ უბჟამა ვინახი“.
მ უ რ თ ა ზ ღ ი ა კ ო ნ ი ძ ი.



მ უ შ ა.
ო თ ა რ კ ი ვ კ ი ძ ი.

ეფი, ქვა), ჭედურობა — „მზის ჭაბუკი“: მაღალ, დონიერ ჭაბუკს ცალი ფეხი ამომავალ მზეზე უდგას, თითქოს მზეს ამოჰყოლია და ძლიერი კეტით ებრძვის სიბნელეს, — ბოროტების სიმბოლოს.

ლამაზად შეუსხამს ხორცი თავისი ჩანაფიქრისათვის დათო ყიფშიძეს ქანდა-

კებაში „ქარი“. ძლიერ ქარს პირისპირ შეჯახებია კაცი, იგი ოდნავ წელში მოხრილია, მაგრამ ქანდაკება ისეა შესრულებული, რომ გჯერათ, ეს კაცი უსათუოდ გაჰკვეთს ამ ძლიერ სტიქიას. მოსაწონია მისი ლითონზე ნაჭედი „მშვიდობის სადარაჯოზე“ და „ქალი ტყვეთა ბანაკთან“.

ჟერ კიდევ გამოუცდელი ხელით, მაგრამ დიდი სიყვარულით შეუსრულებიათ თავიანთი ჩანაფიქრი ვასილ ფირანაშვილს, ვლადიმერ ადეიშვილს, შერმან ოჩხიკიძეს, ავთანდილ დიასამიძეს, ოთარ კიკვაძეს და სხვებს. შარშან ამ სკოლის მოსწავლეებმა მოსწავლეთა VI რესპუბლიკური ოლიმპიადის სახვითი ხელოვნების გამოფენაზე მეორე და მესამე ხარისხის დიპლომები მიიღეს. ესენი არიან: ბ. კიკვაძე — „მშვიდობა“, (ქანდაკება), „მერანი“ (ჭედვა), გ. ყიფიანი — „ვაჟა-ფშაველა“, „მზე მშვი-

დობისა“ (ჭედვა), ჯ. გოგაბერაშვილი — „შემოდგომა“ (ქანდაკება), გ. ხურციძე — „მელია და ყურძენი“ (ქანდაკება), კ. გურგენიძე — „მოცეკვავე“ (ქანდაკება).


ამჟამად, ბავშვთა შემოქმედების მსოფლიო გამოფენაზე გასაგზავნად ამ სკოლის მოსწავლეთა 17 ჭედური ნამუშევარია შერჩეული.

მოსწავლეებთან ერთად სახელოსნოში მასწავლებელიც მუშაობს თავის ქანდაკებებზე. მოწაფეები გულისყურით ადევნებენ თვალს, როგორი სიფრთხილით და სიჯიუტით ებრძვის გამოცდილი მოქანდაკე თიხას, ქვას და ლითონს. რაიონულ ცენტრში დგას მისი ნაოსტატარი: მ მეტრის სიმაღლის ლითონით ნაჭედი ქანდაკება „კოლხეთის დედა“ და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სკვერში ათმეტრიან კვარცხლბეგზე ქვისაგან გამოკვეთილი პოეტის თავი. ქანდაკების გარშემო კი ლოდებზე გალაკტიონის ლექსების მოტივებია გამოსახული.

მკაცრი და მომთხროვნია პატივცემული დიმიტრი, მაგრამ ისეთი გულისხმიერი და ახლობელია მოსწავლეებისათვის, რომ ისინი ვერც კი გრძნობენ მის სიმკაცრეს.

ამას წინათ, ვანის სამხატვრო სკოლა-ინტერნატის შემოქმედებითი ცხოვრება ცენტრალურმა ტელევიზიამ უჩვენა, თავის მაყურებელს. მოსკოვის პრესაშიც დაიწერა მათ შესახებ გულთბილი წერილი.

ახლახან კიდევ მოვინახულეთ ეს ბავშვები, ისინი სახელოსნოში თავთავიანთ მაგიდებთან იდგნენ და თიხისაგან ერთმანეთის პორტრეტებს ძერწავდნენ. პატივცემული დიმიტრიც ახალ ქანდაკებას „დედა სამშობლოს“ ჩაფიქრებოდა. თიხის ზოდს ჩაჰკირკიტებდა, გაწოლილ ავაზას ფიგურას სრულყოფდა... შემოქმედებით ძიებაში ჩაფლულიყვნენ ოსტატიცა და შეგირდებიც. ვუსურვოთ მოუღლებლობა მათ მარჯვენას და გაფურჩქნა მათ ნიჭს...





ღუმიჯანა
გრიგოლაშვილი

ქოჩაქი

მხატვარი
იური
კლიჩაძე

მოთხრობა.

ისევ დაუყვა ნაპირს ეფრემა, ისევ დაჩხრიკა შავი, დუქმორეული ტალღები.

„საწყალი ბესაურა... ჩემი გულისთვის“... — ეს ორი წყვეტილი აზრი უტრიალებდა ბურუსმორეულ გონებაში. თვალწინ ედგა ხშირი წარბებიდან ფარული ბრაზით და საყვედურით გამომზიარალი თვალები და თითქოს ჩაესმოდა მისი ხმაც.

და ისევ რეკავდა ორი ერთმანეთზე გადაბმული: „საწყალი კაცი... ჩემი გულისთვის“... — აქ ერთად იყო გადაქსოვილი წყენა და გულდაწყვეტა, გაცემა და მადლიერება, ველური ბრაზი ვილაცის თუ რალაცის მიმართ და ასევე გაურკვეველი გრძობა ხიფათსგადარჩენილი კაცის დაუოკებელი სიხარულისა. ერთმანეთში გადახლართული ეს განცდები ქმნიდნენ გაურკვეველსა და ბუნდოვან სულიერ განწყობილებას. ისინი, ეს განცდები, ერთად იყვნენ, ერთმანეთის გვერდით და თითქოს ყოველი მათგანი ცდილობდა დაეჩრდილა სხვა, რათა მთლიანად დაეპყრო ამ კაცის სული, მთლიანად დაატრონებოდა მის უცნაურ განწყობილებას. გულში კი ვილაც მღეროდა რომელიღაც აკვიატებულ სიმღერას...

შუა მდინარეში ამოჩრილ ხის ტოტებთან რალაც შავ საგანზე შეაჩერა გაფაციცებული მზერა.

„ის არის!.. მუხლი უჩანს... ის არის!“ — სწრაფად გაიძრო გალუმპული მახარა, ხალათი, აცაცხებულნი ხელებით შეიხსნა ფეხსაცმელი. ამ წუთში აღარაფერზე ფიქრობდა, მზად იყო ხელმეორედ ჩაეგდო თავი საფრთხეში.

სწორედ ამ დროს იმ უცნაურ საგანს ვეებერთელა მორი დაეჭახა და ტოტებში გახლართული ჭირკი თან გაიყოლია.

ეფრემა წელში გაიმართა.

— ეს!.. მაშ სად გაქრა, რომ არსადა ჩანს!.. არა, რომ არ ავეხსენი, ხომ ნაღდად დავიხრჩობოდი, ჰა?

კიდევ კარგა ხანს იბორიალა ნაპირზე.

გულში კი ისევ მღეროდა ვილაც, ამაოდ ცდილობდა უხეიროდ აკვიატებული სიმღერის მოშორებას.

გვიანლა გაახსენდა მდინარეში დარჩენილი ბორანი.

ალაზანი სისხლით გამძლარი და ტანდამძიმებული ზღაპრული გველშაპივით მოიზღაზნებოდა და თითქოს გესლიანი ხითხითით ებუზღუნებოდა:

— დამიძვერი, ხომ? დამიძვერი ხომ კლანჭებიდან?..

ერთბაშად შეაცივა და კბილების კაწკაწი დააწყებინა.

„ეჰ, თან ხომ არ გადაჰყვები, რალას უშველი!.. საქმეს მიხედე“...

ისევ დაუდგა თვალწინ ხშირწარბა და მსხვილულვამა ბრაზიანი სახე, ყურებში ცხადად, ყველა წვრილმანით აღ-

დგა წელანდელი საუბარი ბესაურასთან.

— როგორ მიბღვერდა, საწყალი... ალბათ შაომ უამ-
ბო...

„რა გეგაღმავებოდა!“ — ჩაესმოდა ბესაურას გამკი-
ლავი, ფარული ირონიით საესე ხმა.

— ნეტა, ვასო როგორ არის... რა მიყო ჩემმა მურდალ-
მა ნერვებმა, რა მიყო, ფუი!

„ავად იქნება, თორემ დავიწყება არ იცოდა!“ — არ
ცხრებოდა ბესაურა.

— ეჰ! — მოწყვეტით ჩაიქნია ხელი და შორს დარჩე-
ნილ ბორანს მიაშურა.

„არა, რომ მოკვდეს... ვასო რომ მოკვდეს... ჰა, ღმერთ-
მა კი დამიფაროს და, რომ მოკვდეს, ხომ ჩამაქვავებს
სოფელი, ქურდი და მამისმკვლელი!.. ქურდი! არა, რა-
ტომა ვარ ქურდი, — რაც ჩვენი ბიჭები ჩაცვიდნენ, ჩი-
ტის ბუმბულიც აღარ მომიპარავს...“

ერთბაშად შენიშნა — ჩამობნელებულიყო.

— ბეწვზე კი გადავრჩი მაშინ, ბეწვზე...

ისევ ალაპარაკდა ბესაურა:

„ორიოდე ჰექტარიდა მორჩათ, ჩამოტანილი თესლი
ეგრე დარჩათ, ხათაბალად გამიხადეს“.

ჩამობნელებულიყო...

ბიჭს ბორანი ნაპირზე მიეყენებინა და ორთვალს
გვერდით, პალტოში გახვეული, სლუკუნებდა.

მოუსვენრად იქნედა თავს ორთვალაში შებმული
ცხენი.

„ჩამოტანილი თესლი...“

ღამის ბინდი დასცემოდა ალაზანს.

ჩამუქებულ ცაზე გაუბედავად კიფობდა ფერმკრთა-
ლი, გალუული მთვარე.

„კიდევ კარგი, ბიჭი აქ არის, თორემ ნაღდად შემა-
დენდა ეშმაკი...“

„მაგ ბიჭს კი ადვილად მოუვლიდა კაცი, მაგრამ...“

„ეჰ, რას ამბობ, კიდევ კარგი, ბიჭი აქ არის... კიდევ
კარგი“...

— საწყალი პაპა! რა ერქვა? ცრემლების წმენდით
იკითხა ბიჭმა.

— ბესო, ბესაურა... შენ ხომ უყურებდი, სულ აღარ
გამოჩენილა?

— როგორ არა, მალევე ამოვიდა, შენ მოგყვა ცურვით,
მერე ერთბაშად გაჩერდა და...

— წელ-მუხლს უჩიოდა კრუნჩხვის ბრალია, ან გამოე-
დებოდა ისიც რამეს... ჩემსავით... რომ არ ავეხსენ, ჩავი-
ნჩობოდი! — თქვა ეფრემამ და მერე ცხენს შეუძახა —
აჩუ, ჰა, შე სამგლევე! მოდი, ჰოო... მე შენ გასწავლი
ჭკუას!..

ცხენი დაიძაბა, აფრუტუნდა და ორთვალა ხმაურით
აიტანა აღმართზე.

ბორანზე ახლა ბესაურას ქულაჯა, პატრონტაში და
ჩექმებილა ეყარა.

— კარგი, დააყე მანდი! — ეფრემამ პატრონტაში აიღო
და ბორანს მოშორდა.

— ტრრ... ტრრრ... — რამდენჯერმე შეუძახა ცხენს
ბიჭმა.

ურემი საწყობთან შეჩერდა.

მურა ვაანჩხლდა, ჯაჭვს გასაწყვეტად ექაჩებოდა, ყალ-
ყზე დგებოდა და დაღრენილი ლამებიდან თეთრ ღოჯებს
აკვესებდა. ბიჭი ურემზე აძვრა, უფრო უშიშრად რომ
ეგრძნო თავი.

მოლუშული მოვიდა ეფრემა. გალუმპული მაზარა გაი-
რო და ურემზე შეაგდო. კოფოს ქვეშიდან მათრახი გა-
მოაძრო, წვრილი თვალები უცნაურად უელავდა. უეც-
რად ჰაერში მათრახმა გაიშხილა.

— სულ შენი ბრალია! ესეც შენი!.. ესეც! დახრჩობა
მომინდომე? უხ!.. ახ! — ცხენის მკერდსა. მუცელსა თუ
გვერდებზე გაწულ მათრახს ნაზამთრი ბალანი მოჰყვე-
ბოდა, კანი იბურცებოდა. ცხენი უმწეოდ იქნედა თავს,
გასხლტომას ცდილობდა, მაგრამ გაცეცხლებულ პატ-
რონს მაგრად ეჭირა ალვირი.

ურემი ირყეოდა, შეშინებული ბიჭი ჭალს ჩაფრენოდა
და ძლივს იმაგრებდა თავს.

— ეყოფა, რა მაგის ბრალია! — ემუდარებოდა ეფრე-
მას, მაგრამ ვერა შეასმინა რა.

ბოლოს მოუზომავად მოქნეული მათრახის ბოლომ მის
ზურგსაც უწია. მხოლოდ გამწარებული ბიჭის ბლავილმა
მოაგო გონს გაცოფებული ახმახი, ლანძღვა-გინებით
შეაგდო მათრახი კოფოს ქვეშ, აცახცახებული პირუტყვი
იქვე ხეზე მიაბა და დასაწყნარებლად ბიჭს მიუბრუნდა.

— შენი ბოდიშები არა მჭირდება... — ასლუკუნდა
ბიჭი.

— კარგი, ახლა, მომიხვდა, ძალად ხომ არ მინდოდა!..

— ცხენს რაღას აბამ? ვრჩებით?..

— გავთბებით, გავშრებით და წავალთ, მაინც და-
გავვიანდა!

საკვამლე ოდნავ შესამჩნევად ბოლავდა.

ბიჭმა ვერ გაუძლო ცდუნებას, ურმიდან ჩამოხტა,
მთლად ცახცახებდა.

— ჩექმები და ქულაჯა ბორანზე დარჩა. — თქვა მან.

— იყოს, გაუშვი.

— წამოგველო, ქარი წყალში გადაყრის...

— მიდი, ნავებში ჩაყარე!

— ნავებში?

— მიდი, ჰო!

— ნავებში რა უნდა!

— მერე გეტყვი... მიდი!

ბიჭი ფეხაკრეფით წავიდა მდინარისაკენ.

მურა მთლად გადაერივნა ახლანდელ სანახაობას. ყე-
ფისაგან ხმა ჩახრინწოდა და დროდადრო ნაჩქარევად ახ-
ველებდა.

— ჯიბეში თამბაქო იქნება, გამოაყოლე! — დაადევნა
ბიჭს ეფრემამ.

ბიჭი ბორანზე შეჩერდა, მდინარეს გახედა... ტალღებში
ეფრემას სასოწარმეთულმა სახემ გაიელვა, მერე ბორან-
ზე მოხუცის ლანდი აფუსფუსდა, სხარტად გაიძრო ქუ-
ლაჯა, ჩექმები და ქვასავით გადაეშვა მდინარის ზვირთებ-
ში. წყალში გადაყოლილი ნაბდის ქუდი ერთხანს მსუბუ-
ქად ტივტივებდა ტალღებზე, მერე...

ბიჭს გააყრყოლა, აჩრდილები ერთბაშად გაქრა.

ჩექმები აიღო და თითო-თითოდ ისროლა ნავში.

„რატომ არ უნდა წავილოთ, ვერ გამოვიგა... კირისუ-
ფალს მივუტანდით თოფთან ერთად“...

ქულაჯა აიღო, ჯიბეები მოჩხრიკა, თამბაქო ვერ ნა-
ხა, რაღაც გლუვი რკინა მოხვდა ხელში, ამოიღო, გასა-
ლები იყო.

უცბე თოფის ხმამ გააყრუა იქაურობა. ერთხანს ძალ-
ლის ცაბმული წკავწკავი ისმოდა, მერე მიყუჩდა ყველა-
ფერი.

ბიჭმა ქულაჯაც ისროლა ნავში, ადგილს მოსწყდა და
საწყობისაკენ გაქანდა.

ძლივს გაარჩია საღამოს ბინდში: კართან მიწოლილი მურა უკვე აღარ სუნთქავდა. ყურის ძირიდან თქრიალით სდიოდა სისხლი. დაღრენილი ლაშებიც სისხლს გაეწითლებინა...

— რად მოჰკალი?! — იყვირა ბიჭმა, გაოცებისა თუ სიბრაულისაგან ხმა უკანკალებდა.

— მა რა მექნა! — ეფრემამ დაცლილი ვაზნა მდინარი-საკენ ისროლა. — ვერა ნახე, როგორ ყმუოდა?

— ეყმუვლა რა! რას გიშლიდა!...


— ცოფიანი იყო, შე სულელო... რომ აეწყვიტა, რას აპირებდი!

— აქამდე რომ არ აუწყვეტია?

— ერთი სიტყვიც, ცოფიან ძაღლს ტყვიის მეტი არაფერი უშველის; ეს მომავალშიც იცოდე! გარდა ამისა, ღუმელი ხომ გინდა, ჩემო ძმაო, როგორ აპირებდი შესვლას?.. შენი არ ვიცი და, მე მთლად გავიყინე.

— მოვითმენდი შენამდე!

— მოვითმენდი, მოვითმენდი! გამომივიდა ესეც...



ეფრემამ ბოქლომი წვეტიანი ქვის ერთი ჩამოკვრით მოამშორა კარს და ოთახში შეალაჯა.

ბიჭი ერთხანს ყოყმანობდა, მერე ისიც შევიდა და გაბუტულივით ჩამოჯდა ტახტზე...

ეფრემამ ცეცხლი გააღვივა, შეშით გამოტენა ღუმელი და საამური გუგუნი დააწყებინა. კედელზე სანთელი შენიშნა, ასანთს დაუწყო ძებნა. მაგიდის უკრაში მიაგნო, გაჰკრა და მოუკიდა, ანთებული ღერი კარგა ხანს ეჭირა ხელში.

— თამბაქო არ მოიტანე?

ბიჭმა მაგიდაზე წითელზონარშებმული გასაღები დააღო.

ეფრემას არა უთქვამსრა, მხოლოდ უცნაურად გაუბრწყინდა ჭროლა თვალები.

უხმოღვე გაიხადეს სველი ტანისამოსი და მიფინ-მოფინეს.

ოთახში მალე ტანისამოსიდან ავარდნილი ორთქლის ბული დატრიალდა.

სითბო საამურად უღიტინებდათ გაციებულ ძარღვებს.

გარეთ ცივი ქარი ზუზუნებდა.

ეფრემამ რამდენჯერმე გადახედა ამრეზილ ბიჭს, რაღაცის თქმას აპირებდა. ბიჭი ჯიუტად ღუშდა.

— კარგი ახლა, შე კაი კაცო, ერთი ცოფიანი ძაღლის გულისთვის სიძეს ეუმიძრახები?! — გაიცინა ეფრემამ და ბიჭს ჯიუტი თმა მოუსრისა.

— საწყალი ბესო პაპა... კალათა უწნავს... — თქვა ბიჭმა.

— ეჰ, კაი ფაციას კი გადავრჩი და! ჰა, რას იტყვი?...

— გადარჩი კი არა, გადაგარჩინეს!

— აბა, მე რაღას ვამბობ, ალაზანს ჩემი ხათრი კი არ დარჩენია!

— ნაპირზე გამორიყავს, არა?

— რა ვიცი... შეიძლება არც გამორიყოს.

— დილაზე კარგად ვნახოთ, იქნება გამორიყოს...

— შენ რაო, აქ დარჩენას აპირებ?

— აბა რა! კაცი დაიხრჩო, ძაღლიც აღარ არის, საწყობს ხომ უნდა პატრონი!

— პატრონი თორემ... ოქრო ხომ არ გგონია ამ საწყობში, გვარჯილითა და ათასი ხარახურით არის გამოტენილი! მე სადავიდარაბო თავი არა მაქვს!

— რა შუაშია დავიდარაბა! — გაოცდა ბიჭი.

— აბა, ბიჭო, შენ თუ გგონია, ასე ჩაივლის ეს ამბავი?!

— რაზე ამბობ!

— ჰმ, შე სულელო, კაცი დაიხრჩო, ქათამი ხომ არ დამხრჩვალა!

— მერე?!

— დაჯექი და კერე! ჩაგვაგლებენ, შვილოსან, ხელსა და, უგე პასუხი: როგორ დაიხრჩო, ვინ დაახრჩო, რად დაახრჩე, როგორ დაახრჩე...

— მერე ჩვენ რა შუაში ვართ? — ბიჭმა თვალები დააქციტა გაოცებისაგან.

— ეჰ, შენ რა გესმის! — ეფრემამ მხრები აიჩეჩა და ხელები გაშალა, — წადი და უმტკიცე, რომ შუაში არა ხარ! ძაან დაგიჯერებენ!

— თუკი მართალი ვარ?...

— ეე... რამდენი მართალი მჯდარა... დახრჩობა არ მერჩინა? დახვრეტას თუ გადავრჩი, ციხე ზედა მაქვს!



მოგცდეს ამაზე, რაც მოხდა. ენას კბილი უნდა დააჭირო შინაც და გარეთაც!.. შენ გგონია ცხოვრება იგრე არ არის მოწყობილი... ამ საქმეს ათასგვარ სარჩულს დაუდებენ და... ერთი სიტყვით, მერე გვიანლა იქნება!.. ბიჭი წვეტიან ნიკაჰს, თხელ ტუჩებსა და ხეშემ უღვაშებს მიშტერებოდა.

„რა ფორმის ნიკაჰი ჰქონია!“ — გაიფიქრა უცებ და თვითონვე გაოცდა ამ აღმოჩენით.

— თუ ასეა, მე შემოიძლია გავჩერდე! რად მინდა ამდენი ჩიჩინი! — მტკიცედ უთხრა ბიჭმა.

— ჰოდა, აგრე შე კაი კაცი! — ეფრემამ წამოიწია და მხარზე ხელი მოუტყაპუნა. მერე უფრო ფრთხილად განაგრძო: — ჩვენ სოფელში აღარ ავალთ. უკან უნდა დავბრუნდეთ... ვერც თქვენსას მივალთ. მიბრუნების მიზეზს გვკითხავენ და უხერხულია...

თხელი ტუჩები ფრთხილად ტკეპნიდნენ ერთმანეთს. დრო და დრო ენის წვერი ტუჩებიდან ნერწყვის წებოვან სითხეს ლოკავდა.

„ღორბლიანიც ყოფილა!“ — ისევ გაიფიქრა ბიჭმა. — გალმა ერთ სოფელში ნათლია მყავს, შენ, მგონი, იცნობ ბეჟანას, ჩვენი ციკოს ნათლიაა... იმასთან მივალ, კაი ხანიც არის, არა ვყოფილვარ.

ბეჟანას ხსენებამ შეაკრთო ბიჭი და ეფრემას წუთით მიაჩერდა თვალებში. ეფრემას წვრილი, ჭროლა თვალები უხერხულად აუთამამდა უწამწამო უპეებში. ბიჭის გამოხედვა თამამი იყო და გამომცდელი.

„მამამ ხომ თქვა — ბეჟანა ავაზაქიაო... ესენი ციხეში ერთად ისხდნენ, რაღა იმას უნდა მივადგეთ!“

— მერე? — იკითხა ბიჭმა და ეფრემას წვრილად დანაოჭებულ ვიწრო შუბლს მიაშტერდა, რომელზეც უწყსრივოდ ჩამოფანტულიყო თხელი, წაბლისფერი ქოჩორი. შუბლზე გაწოლილი ღრმა ნაოჭები ისე იყო დასერილი უფრო წვრილი, ოღნავ შესამჩნევი ხაზებით, თითქოს დაწუნებული და უდიერად წაშლილი ნაწერიო. ბიჭი მისშტერებოდა იმ ნაოჭებს, იმ წაშლილი სტრიქონების ამოკითხვას ცდილობდა თითქოს.

— ჩვენი სოფელში ასვლა ჯერ არ იქნება, — განაგრძო ეფრემამ დაბალი, მოგუდული ხმით, — ისევ გალმა უნდა გავიდეთ. ერთი-ორი დღე ბეჟანასთან ვიქნებით, სანამ აქ დახრჩობის ამბავი გახმაურდება, და მერე გამოვალთ. ბერიკაცი ბორანზე ფეხებს იბანდა და წყალში გადავარდა! არავისაც არ უნახავს! მორჩა და გათავდა!...

— საწყალი!... რა კარგი კაცი ჩანდა! — თავის ქნე-

— ეფრემამ ნუგეშწართმეულივით ჩაიქნია ხელი.

ბიჭი ამას აღარ ელოდა, გაცხარდა. — მე ხომ ყველაფერი ვნახე! მოწმედ გეყოლები! სიმართლეს რა დიდი მტკიცება უნდა!

— ჰა-ჰაა, აი ნახავ... მართლის მთქმელ მტრედს ნისკარტი მოსჭრესო, ნათქვამია, აქეთ შეგიტყვევებენ პიონერობას, გაქეზებული ხარო, გეტყვიან, გაზეთში გამოგჭიმავენ — „მატყუარა პიონერი!“ — მოგწონს?... ვინ იცის, თუ სერიოზულად მოგჭიდეს ხელი...

ეფრემამ ისევ აიჩეხა მხრები, მძიმედ წამოღდა და ტანისამოსის გადაბრუნება დაიწყო.

ბიჭი მთლად აირია.

— რას მიზამენ! — შემკრთალი ხმით იკითხა. — შენი ტოლებისტვისაც აქეთ ციხე! — მიახალა ეფრემამ და ზურგი შეაქცია, რომ ბიჭისაგან დიამორეული სახე დაემალა.

ბიჭი მართლაც სასაცილოდ მობუზულიყო.

— ყური მივდე, პიონერო! — საგონებელში ჩავარდნილი კაცის ხმით განაგრძო ეფრემამ და მობრუნდა, — დამიჯერე, შენ ჯერ ბალლი ხარ...

— ბალლი ხარ! ბალლი ხარ! არაფერი ბალლიც არა ვარ, თვის ბოლოს კომკავშირში მიღებენ! — ბიჭს მოეჩვენა, რომ ეფრემამ სიტყვა „პიონერი“ და „ბალლი“ ირონიულად დამარცვლა და ამან გააბრაზა. მაგრამ ექვემა მაღვეე გადაუარა და სიძის სხარტად მოძრავ წვეტიან ნიკაჰს მიაჩერდა.

— დამიჯერე, რო გელაპარაკები... ჩემი თავის მტერი ხომ არა ვარ, შე კაცი! — ეფრემა წელანდელ ადგილზე ჩამოჯდა, გრძელი მკლავები მუხლისთავეებზე ჩამოყარა და ხმა უფრო შემპარავი გაუხდა: — თუ შენთვის გინდა კარგი და ან ჩემთვის, ერთი სიტყვაც არ უნდა წა-

ვით თქვა ბიჭმა. მას ტანში კი ხანია გაუჯდა სასიამოვნო მოთენთილობა და მოეშვა.

იგი უყურებდა სიძის ესოდენ ნაცნობი სახის ნაკვეთებს და, რამდენადაც მეტს აკვირდებოდა, იმდენად უცხოდ და უცნობად ეჩვენებოდა ეს წითური, გამხდარი სახე, კეხიანი ცხვირი და დაწითლებული თვალები...

ბიჭს მოშვებული ტანი დაუმძიმდა, თვალები ელულეზობდა, წინ რალაცნაირი ლამაზი, ფერადი რგოლები უტრიალებდა, სიძის ძალიან მახლობელი და ახლა ერთბაშად გაუცხოებული სახე გამჭვირვალე ბურუსში ეხვეოდა.

მხარზე ხელის შეხება იგრძნო.
— რაო, ხომ არ გეძინება?! — ჩაეკითხა თხელი ტუჩები.

ბიჭი გამოფხიზლდა, გაიზმორა და თავი ძმარდალეულივით შეაცახცახა.

— მამ გდმა გავალთ?
— ჰო, ხომ გითხარი!..
— როგორც შენი ნებაა!
ბიჭი წამოდგა, რათა მაცთუნებელი ბურანისათვის თავი დაეღწია, და იკითხა:

— კვალს რომ მოჰყვენ და მოგვადგენ?
ეფრემამ ჩაიცინა.
— მოჰყვენ, ვის რა ფეხებს მოსჭამენ! მეტი ფიქრი ნუ მრგცა!... სოფლის შარაზე ასფალტია, იმას კი არ დაემჩნევა ნაურმალი!..

ორივემ გადაიკვა გამშრალი ტანისამოსი. მზარას ისევ ორთქლი ასდიოდა. ეფრემამ სახელოები გადმოუბრუნა და სარჩულით მიუფიცა ღუმელს.

— როგორც იტყვი... — გაიმეორა ბიჭმა, ღუმელს შემო შეუმატა და ტახტზე გადაწვა.

— შენ აქ იყავი, ცხენს გავხედავ... შეგიძლია წაიძინო კიდევ. ბარემ შინელიც კარგად გამოშრება და წავიდეთ. უთხრა ეფრემამ და გარეთ გავიდა.

ბიჭს უკვე კარგად მორეოდა თვლემა და აღარაფერი გაუფია.

ტკბილი ძილიდან ეფრემას ხმამ გამოარკვია:
— ადექი, ადექი, წავიდეთ!

სახეზე ცივი ხელის შეხება იგრძნო და ერთბაშად გამოფხიზლდა. როგორღაც უსიამოვნოდ გააურჯოლა; თითქოს მცურავის ცივი სხეული შეხებოდეს.

— ოჰ, როგორ მეზარება! — თქვა და დაამთქნარა.
— ადე, ადე, რა დროს დაზარებაა, მერე გვიანდა იქნება!

სიძე ისეთი აჩქარებული და აფორიაქებული ეჩვენა, რომ მაშინვე წამოხტა, ფეხზე ჩაიკვა და ეფრემას გამოწვდილ პალტოში გაეხვია.

ეფრემამაც სწრაფად ჩაიკვა მზარა და სანთელი ჩააქრო.

ოთახს ახლა ღუმელის მკრთალი შუქილა ანათებდა.

— წავედით!
— თოფი სადღა მოგაქვს! — გაიკვირვა ბიჭმა.
— რა ჰქუა აქვს ამის აქ დატოვებას, მე თუ არა, სხვა წაიღებს.

ბიჭი აღარ შესდავებია. გარეთ გავიდნენ. ბიჭს ერთბაშად გაუჯდა ტანში ცივი, სუსხიანი ქარი და კანკალმა აიტანა.

იძვროდა ყვითელი მთვარე. ზევით, ცივგომბორის ფერდობზე შეფენილ სოფელში, უბან-უბან მიმოფანტული ელნათურები კაშკაშებდნენ.

ეფრემა ცხენს გამოუძღვა და ორთვალა ბიჭის წინ შეაყენა.

— შეჯექი კოფოზე!
— შემცივა მალა! — იუარა ბიჭმა.
— აბა, ფეხით ხომ არ აპირებ ჩანჩალს?

ეფრემამ მხრებში ხელი ამოსდო და ბიჭი ძალით შეასკუბა კოფოზე. მერე ისევ ცხენს გაუძღვა ბორნისაკენ.

ბიჭი უარესად აიტანა სიცივემ.

„წოლა სჯობს!“... — გაიფიქრა და უკან გადაძვრა, რომ მორებს შორის ბალახში ჩაწოლილიყო. ბალახი გადასწია თუ არა, ცივმა ოფლმა დაასხა: მორები საოცრად თბილი ეჩვენა, ხელითაც მოსინჯა, ეჭვი აღარ იყო — ტომრებზე იჯდა.

— ეს რა გეჩნია! — იყვირა ბიჭმა და ურემზე წამოიმართა.

ეფრემას ურემი ბორანზე შეეყენებინა და უკვე ბორნის აშვებას აპირებდა.

ბიჭის ყვირილმა პალოზე დახრილს მოუსწრო და ეგრევე გააშეშა, მერე მოგონილი გულგრილობით ჩაილაპარაკა:

— რა გაყვირებს, კი არ მომიპარავს, შე კაი კაცი! ბესაურას ემართა შარშანდელი; კაცი ცოცხალი აღარ არის, ვის მოვედაო...

ბიჭი ურმიდან ჩამოხტა.
— ნუ უშვებ ბორანს, უკანვე მოაბრუნე!

ეფრემა წელში გაიმართა.
— რას მიჰქარავ!... შენ რა, მართლა არა გჯერა? ქურდობასაც მებრალეებ?

— არ კი გაბრალეებ, ხარ! თურმე იმიტომაც...
— დაჯექი ეხლავე ტაქაზე! — გააწყვეტინა ეფრემამ.

— არ დავედები! — ბიჭს ხმა გაკერებოდა.
— დაჯექი-მეთქი!

— მოაბრუნე ტაქკა!
— რამ გადარია ეს უპატრონო! — ჩაილაპარაკა ეფრემამ და ბრაზისაგან აკანკალებული ხმით იყვირა: დაჯექი-მეთქი!

რატომ არა გვგრა, ემართა კაცს... ვალი მიმაქვს, ჩემი წილი და კერძი, რა მოხდა ისეთი!

— საწყობი ბესო პაპასი არ არის...
— მით უკეთესი სულ თავმჯდომარემ და ბუღალტერმა რომ არ ზიღონ ამ საწყობიდან, ერთხელ მეც წავიღო ერთი-ორი ფუთი, რა იქნება!

— ამ ორი ფუთი კი არა, ტონაზე მეტია! მაშინვე დაგვითვინ, რომ ტონა ემართათ!... თუ არა კიდე, გეტყვი დასბრძოლი ფუთი!

— რა გელაბარაო, ლაწირაო! კაცი იყო, გეტყვი რაშენ...!

— ლაწირაო ვინ თუ რადა ვარ, მოაბრუნე ტრაქა და დააწყე ტორებში ადგილებს მე არსადაც არ მივდივარ! წახვალ და ხველვ გიტყვი გელანარაში!

ბიჭი შებრუნდა და წინად დატოვებულ კარს მიავშურა. არც მთუხედვას, ისე ისრლდა:

— წადი ახლა სითაც გინდა!..

ოთახში შევიდა, საწოლზე აწოდა და მიუტჩებულ ღუმელს ააღუკუნა, მთლად კისკისებდა სიცხისა თუ ბრახისაგან. გემრალ პირში თითქოს შურე არც ელო და ენას უსუქსებდა.

— აი, თურმე, გულში რა ჭქინია, თურმე რა სდებია გულში! ბუღუნებდა თავისთვის.

კარგახას იფდა ასე.

საწყობის კარის გაბმულმა ჭრიალმა ფეხზე წამოახტუნა. ღრეოში მებრა გააპარა და მთვარისაში აშკარად გააჩრია:

ცხენშებულ ორთავალ უკვე საწყობის წინ იდგა, ორთავალს ახმათი კაცის სილუეტი მიუახლოვდა. ვიღბეტილ ტიპარა ვაგონაობის, ზურგზე მოვიდო და საწყობის მკლერი ნახვით შეაქუნელა.

ბიჭი შებრუნდა და ადუღებულ ისე ტახტზე ჩამოძრა. რადაც დაწულ უცნობ ცხოველურებს, ერთნადა. ასეთი გრძნობა აქმედ არასოდეს ჭქინია. ერთნადაც გზარდლი კაცის სიამაღელ იცხებოდა.

გაერთ ალახის მხურთხევი შეერთებლი ჭარის სტეცა და ზუზუნის ისმოდა.



კახეთის სუპრატული

ნონა ჯანაშიძე

ამ შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლის პირველი ძეგლი — ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, ჩვენამდე ძალზე დანგრეული სახით არის მოღწეული. მიუხედავად ამისა, იგი ამ გრანდიოზულ ნაწარმებთან უარულად შეთანხმდებლობს ტოვებს. ტაძრის მშენებლობა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III დროს წარმოებდა (ტაძარიც ხომ მშენებლობის სულისჩამდგომელს ბაგრატის სახელს ატარებს). მშენებლობა 1008 წელს დაუშთავებიათ. „ოდეს განშტაცულია იატაკი, ქარიონი იყო 228“, — ვგანვიხილავთ აღმოსავლეთის მკლავის ჩრდილოეთის სარკმელთან მოთავსებული წარწერა. (დღევანდელ წელიად იცხვას რომ შეუფარდლო, 70 უნდა დაფუძახო, ე. ი. 228 + 780 = 1008 წელს). სხვათა შორის, ეს წარწერა იმითაც არის სანდოტრესო, რომ ჩვენში არაბული ციფრების ხმაურების ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია.

ბაგრატის ტაძრის აზიდული მასშტაბობა, პარაოციული შეფარდებობა და არქიტექტურულ ფორმათა ურთიერთშეფარდების ჰარმონიულობა, ოსტატურად გამოხატული ცალკეული ელემენტების და დეტალების ტაძრის განსაკუთრებულ მომხიბველობას და ბრწყინალებას ანიჭებს. ბაგრატის ტაძარი 1696 წელს „შემუსტეს ოსმალო“ და სწორედ ამ დროს ჩამოინგრა გუმბათი და გადაზურკვები.

ხუროთმოძღვარ არსუქისის უცა


დავი ქმნილება — სვეტიცხოველის სახატარაქო ტაძარი მცხეთაში, 1010-1028 წლებში აგებულა. მისი აშენებით საქართველოს ძეგლმა დღეღამეზე ახალი მძღველი მასხატრული აქცენტი მიიღო. საერთო დახალი განაშენიანების ფონზე იგი წაყვანი ღომინანტის მნიშვნელობას იღებდა თვით მცხეთაში, რომლის სივრცობიც კომპოზიციას ჭარის, სვეტიცხოვლისა და სამთავროს მიერ შექმნილი აქცენტები აორგანიზებდა.

სვეტიცხოველი აშენებულია ძველი, პირველი ჭრისტიანული ეკლესიის ადგილზე, რომელიც ჭერ კოდნო IV საუღუნეში იყო აგებული. ტაძრის უსამარაზრ შიდა სივრცეში დიდა მნიშვნელობა ენიჭება გუმბათის, სვეტიცხოველი ქლიერ დაზიანდა XIV საუღუნეში. XV საუღუნის დასაწყისში აღდგინილ იქნა. გუმბათის ეკლი აღდგინილია XV და XVII საუღუნეებში. ტაძრის ხედი დამახინდა მას შემდეგ, რაც XIX საუღუნეში მოანგრეიეს ღაა გაღერიები, რომლებიც გვარდის გრძივ ფსახედებს გასდევდა. მაგრამ არქიტექტურულ მახათა მუშობრი აგებულემა, ფსახადა შეფარტრული დანაწერება, ოსტატურად შესრულეული ეკლიოლობა და რელიეფები დიდ მხატვრულ ზემოქმედებს აღწევნ.

აღვერდის ტაძარი კახეთში თვისი ზომებით ერთ-ერთი უღდღესი ძეგლია საქართველოში, სიმაღლით კი — უველაზე მაღალი. იგი XI საუღუნის პირველ მეოთხედში აგებული. თუ ბაგრატის ტაძარზე და სვეტიცხოველზე დეკორატიული მორთულობა არქიტექტურას მებ

გამოსახულებებს ანიჭებს, აღვერდში (რომელიც ისევე, როგორც კახეთის ყველა ძველი მოკლდელი მორთულობა) ეთიბტი მიღწეულია ზეითი აზიდული ფორმებით, პარაოციული აგების ფაზაში გაგებ-

თა და გრანდიოული შინაგანი სივრცით, აღვერდის ტაძრის უსამარაზრი მოკლდლის ამაყვანა აღმარა თულდა ოსნის ადგილულ ვიღვე და შორიდანვე იყვაროს უცრადღებას. ქართული ხუროთმოძღვრების გან.





ვითარების საერთო სურათში აღნიშნული პერიოდი მაინც, რა თქმა უნდა, ფასადთა დეკორატიული დანაწევრების სისტემით, არქიტექტურული მორთულობის ლოგიკის ღრმა გაგებით, რელიეფთა და სხვადასხვა ორნამენტული დეტალების ბრწყინვალე შესრულებით გამოირჩევა. აქ უნდა აღინიშნოს მცხეთის სამთავრო (XI საუკ. დასაწყისი), რომელიც გამოირჩევა ფასადებზე არქიტექტურული მორთულობის გადაწყვეტის დახვეწილი. გაგებით. მზის განათებით გამოწვეული ეფექტის გათვალისწინებით, აქ სხვადასხვაგვარადაა მოცემული ორნამენტული მოტივები სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადებზე: სამხრეთით, განათებულ მხარეს, ორნამენტი შედარებით დაბალი ჭრითაა შესრულებული ჩრდილოეთის მხარესთან შედარებით, სადაც, მკვეთრი ბუნებრივი შუქის უქონლობის გამო, გაცილებით ღრმა კვეთაა მოცემული. ორნამენტული რეპერტუარის მრავალფეროვნებისა და ნახატის პლასტიკურობის მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რელიეფური მორთულობით სწორუბოვარი ნიკორწმინდა (1010-1014 წ. წ.).

მონუმენტურ ძეგლებს, რომლებშიც ყველაზე მეტად არის ასახული

ეპოქის დამახასიათებელი ნიშნები, მიეკუთვნება აგრეთვე სხვა ძეგლებიც. მათ შორის გამოიყოფა კათედრალი სამთავისში (1030 წ. არქიტექტორ ილარიონ სამთავნელის მიერ აგებული). ამ ძეგლზე გეგმის სხვაგვარ გადაწყვეტასთან ერთად (შენობა გეგმაში დამოკლებულია და მისი გვერდების შეფარდება კვადრატს უახლოვდება) საინტერესოა აღმოსავლეთის ფასადის მორთულობის ახლებური, შემდგომში ფართოდ გავრცელებული სისტემის გაჩენა: ფასადი ირთვება დიდი ორნამენტული ჭვრით, საკმელთა ორნამენტული მოჩარჩოებითა და რომბებით მათ ქვეშ.

შუასაუკუნეების საქართველოს კულტურის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრს ქუთაისთან ახლოს აშენებული გელათის სამონასტრო კომპლექსი წარმოადგენდა. მისი მშენებლობა 1106 წელს დაიწყო. ცხოველხატული ბუნების გარემოცვაში, გალავნით შემოფარგლულ ვრცელ ეზოში სამი ტაძარია აგებული: ცენტრში—მთავარი, ღვთისმშობლის სახელობისა, მისგან აღმოსავლეთით — წმ. გიორგის ეკლესია და დასავლეთით — წმ. ნიკოლოზისა. აქვეა სახელგანთქმული

აკადემიის ნანგრევებიც. მთელ ანსამბლში უზარმაზარი ნათალი ქვებისაგან ნაგები მთავარი ტაძარი იჩენებს პირველობას. იგი გამოირჩევა მონუმენტურობითა და აბსოლუტური ზომებით. უნიკალური მოზაიკა ტაძრის საკურთხევლის კონქში და კედლის მხატვრობის მრავალი ნიმუში კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ამ ტაძარს.

XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე გუმბათიანი ეკლესიები უკვე ნაკლები ზომის შენდება. ეკლესიები გეგმაში კვადრატს უახლოვდებიან. შენობის საერთო პროპორციულ აგებაში გუმბათი შესამჩნევად გამოირჩევა, იგი გრძელდება და ოთხ ბურჯს კი არ ეყრდნობა, არამედ ერთი მხრივ — ორ ბურჯს, ხოლო მეორე მხრივ — საკურთხევლის კედლებს. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფასადის ცალკეული ნაწილები ინტენსიურად არის დატვირთული ორნამენტებით. გუმბათის ყელი თითქმის მთლიანადაა დაფარული მორთულობით, ისევე, როგორც საკმელთა საპირეები და ჭვრები ფასადთა თავისუფალ სიბრტყეზე. ბეთანია, ქვათახევი (XII-XIII სს. მიჯნა), პიტარეთი (XIII საუკ. დასაწყისი) სწორედ იმ ძეგლებს წარმოადგენენ, რომლებზეც შესანიშნავად მოჩანს მდიდრული მორთულობისაკენ მისწრაფება და ორნამენტის დამუშავების უმაღლესი ოსტატობა. ამ ჭვრების ყველაზე ადრინდელ ძეგლშიაც კი, როგორცაა ტაძარი იკორთაში (1172 წ.), რომელშიაც ჭერ კიდევ არის შენარჩუნებული XI საუკუნეში გავრცელებული კომპოზიციური ხერხები ფასადების მორთვისა. პროპორციული ცვლილებანი თუ სხვა მომენტები ზემოთ აღნიშნულ სტილისტურ ნიშნებზე მიგვითითებენ.

ამ დროს მიეკუთვნება ეკლესიები უნიწვისსა და ტიმოთეს უბანში, რომელთა არქიტექტურა იმით გა-

მოიჩინება, რომ უმრავლეს ძეგლებსაგან განსხვავებით სამშენებლო მასალად ნახშირია აგური — ისინი მთლიანად აგურისაგანაა ნაგები.

საკულტო ნაგებობების გვერდით ჩვენამდე მოაღწია სამოქალაქო მშენებლობის ძეგლებმაც. მართალია, ისინი ნანგრევების სახით არიან შენარჩუნებული, მაგრამ არქიტექტურული ანალოზის შესაძლებლობას მაინც იძლევიან. მათ შორის გამოირჩევა აკადემიის ნანგრევები იყალთოში, სხვადასხვა ნაგებობების ნარჩენები დმანისში, სამშვილდესა და რუსთავში. ყველაზე მეტად აღსანიშნავია გეგუთის სასახლე (ჭუთაისთან ახლოს), რომელიც ქართველ მეფეთა ქალაქგარე, საზაფხულო რეზიდენცია იყო. მისი სათავსები სხვადასხვა დროსაა აგებული. XII საუკუნეშია აშენებული დიდი, გუმბათიანი, აგურისაგან ნაგები დარბაზი.


ამავე ეპოქას მიეკუთვნება გრანდიოზულ გამოქვაბულ-ქალაქთა მშენებლობა. კლდეში მშენებლობის ყველაზე მსხვილ კომპლექსს წარმოადგენს დავით გარეჯის მონასტე-

მანგლისი. XI საუკ.
დასაწყისი.

რი, რომელიც ასობით საკულტო თუ სამეურნეო - საცხოვრებელი დანიშნულების სადგომებისაგან შედგება. აქ ჩვენ ვხვდებით მონუმენტური კედლის მხატვრობის უბრწყინვალეს ნიმუშებს. მეორე მაგალითია სახელგანთქმული გამოქვაბული — ქალაქი ვარძია, სადაც აგრეთვე ასობით გამოქვაბულია კლდეში გამოკვეთილი. ვარძიის კომპლექსის ცენტ-

რშია დარბაზული ტიპის მთავარი ტაძარი. ნახევრად ცილინდრული თალი, კედლის სვეტები, საბჯენი თაღები კლდეშია გამოკვეთილი. ტაძარში კედლის მხატვრობაა, რომელზეც შემორჩენილია მეფე გიორგი III და თამარ მეფის პორტრეტული გამოსახულებანი. ეს თამარ მეფის ერთ-ერთი გამოსახულებაა. იმ ოთხ პორტრეტთაგან, რომლებმაც მის დროიდან ჩვენამდე მოაღწია (თამარ მეფის პორტრეტული გამოსახულებანი შემორჩენილია აგრეთვე ბეთანიაში, ყინწვისში და დავით-გარეჯის გამოქვაბულში — ბერთუბანში).

საქართველოს არქიტექტურის ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო ფურცელს შეადგენს მთელ ტერიტორიაზე მიმოფანტული, სხვადასხვა ზომისა და განლაგების, მაგრამ ყო-



ველთვის უდიდესი სამშენებლო ხელოვნებით ნაგები თავდაცვითი ნაგებობანი. სხვადასხვა სტრატეგიულ ადგილას მოხერხებულად განლაგებული, ხან დაბლობში გზის პირად, ხან კი მიუვალ კლდეებზე გადმოდგარი ეს ციხე-სიმაგრეები დიდ როლს ასრულებდნენ ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მათ შორის ყველაზე დიდია ხერთვისი, აწყური, თმოგვი.

რომ უკეთ წარმოვიდგინოთ მშენებლობის მასშტაბები, უნდა მოვიხსენიოთ ნაგებობები, რომელთაც წმინდა პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდათ. ასეთებია: ხიდები, ქარვასლები, წყალსადენი და სხვა, რაც მაშინდელი სამშენებლო ხელოვნების მაღალ დონეზე მიუთითებს.

ქართული ხუროთმოძღვრების ადამავლობა XIII საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა, როცა მონღოლთა ბატონობის ქვეშ მოქცეულმა ერთიანმა სახელმწიფომ დაშლა იწყო. მონღოლთა ბატონობა მძიმე უღლად დააწვა საქართველოს. ქვეყანა ეკონომიურ კრიზისს განიცდიდა. ბუნებრივია, ამან ხუროთმოძღვრების განვითარებაზეც იმოქმედა. მშენებლობის მასშტაბები მკვეთრად დაეცა, შეიცვალა არქიტექტურულ-მხატვრული ამოცანებისადმი მიდგო-



სამთავისი. არქიტექტორი
ილარიონ სამთავისელი
1030 წ.

მაც, ე. ი. სტილისტური ნიშნები. იცვლება პროპორციები; შესრულება ხდება მშრალი, მორთულობა-მოდუნებული; გაქრა ის ცხოველბატულობა და ბრწყინვალე არტისტიკაში, რომელიც წინა დროის დეკორს გააჩნდა; იკარგება არქიტექტურული ორგანიზმის მხატვრული ერთიანობა.

XIII საუკ. ბოლოსა და XIV საუკ. დასაწყისის პერიოდის ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშებად თბილისის მეტეხის ტაძარი და საფარისა და ჯარჯმის მონასტერთა ტაძრები გვესახება, რომლებიც ახლოს დგანან წინაპერიოდის ძეგლებთან.

თბილისის მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია XIII საუკუნეში ხელახლა ააგეს და შემდგომში რამდენჯერმე გადააკეთეს. მის დამახასიათებელ ნიშანს აღმოსავლეთის ფასადის სამი გამოშვერილი ნაწილი შეადგენს, რომლებიც იმეორებენ აბსიდთა მოხაზულობას გეგმაში. აქ ორნამენტული მორთულობანი თუმცა ტექნიკურად კარგადაა შესრულებული, მაგრამ ნახატის სწორედ იმ სიმშრალესა და მოდუნებას ატარებს, რომელიც ასე დამახასია-

თებელია მათი შექმნის დროისთვის, ე. ი. XIII საუკუნისათვის.

საფარა და ჯარჯმა სამხრეთ საქართველოშია, სამცხე-საათაბაგოს ისტორიულ პროვინციაში, რომელიც მონღოლთა ბატონობისას სხვებთან შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებოდა. ამიტომ მდიდრული მორთულობა აქ ჭერ კიდევ მაღალ ტექნიკურ დონეზეა.

XV საუკუნეში, როგორც საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში, ისე ფეოდალური საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მომხდარმა არსებითმა ცვლილებებმა, გააუარესეს ქვეყნის საერთო მდგომარეობა. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების უკანასკნელი ეტაპის დასაწყისი, ეტაპისა, რომელიც ფაქტიურად XIX საუკუნის დასაწყისამდე გრძელდებოდა. XV საუკუნემ ძეგლების უმნიშვნელო რაოდენობა დაგვიტოვა: დიდი დრო დასჭირდა მრისხანე მტერთან ბრძოლაში დაკარგული ძალების აღდგენას და მხოლოდ XVI-XVII საუკუნეებში ცოცხლდება სამშენებლო მოღვაწეობა. ირანის მძლავრი პო-

ლიტიკური გავლენის ქვეშ მოქცეული აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებში ჩნდება ახალი დეკორატიული მოტივები, რომლებიც ირანის ხელოვნებასთანაა დაკავშირებული. სამშენებლო მასალად ფართოდ გამოიყენება აგური. მაგრამ არქიტექტურულ ნაწარმოებთა ძირითადი ნიშნები ძველებურად ეროვნულ ტრადიციებზეა დაფუძნებული, თუმც ამ დროს ნაგებობათა მხატვრული დონე ადრინდელ ეპოქებთან შედარებით გაცილებით დაბალია.

საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარე ციხე-სიმაგრე ანანური (XVI-XVII საუკ.) წარმოადგენს ამ დროის ერთ-ერთ ყველაზე მეტად დამახასიათებელ ნაგებობას. მძლავრი გალავნის შიგნით აქ სამოქალაქო, სამხედრო და საკულტო შენობებია თავმოყრილი. გრემი — კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქი XVI საუკუნეში — აგრეთვე ამ პერიოდის დამახასიათებელ ნიმუშს იძლევა. გრემის ნაქალაქარზე მოჩანან ეკლესიათა, სვაჭრო რიგების, აბანოების, საცხოვრებელთა და სხვ. ნანგრევები. (აგურის გუმბათოვანი ეკლესია 1565 წელსაა აშენებული). ამ პერიოდს მიეკუთვნება ანჩისხატის სამრეკლო თბილისში (1675 წ.) და სხვ.

XVII საუკუნეში საქართველო თურქ და ირანელ დამპყრობთა შემოსევების ასპარეზი ხდება. აღმოსავლეთ საქართველომ, განსაკუთრებით ქართლმა, თავისი მოსახლეობის თითქმის ნახევარი დაკარგა. ქართველი ხალხის გამირულმა ბრძოლამ ეროვნული თუ პოლიტიკური თვითმყოფადობა შეინარჩუნა, მაგრამ ომებმა ძალზე შეასუსტა



გიგუთი. სასახლის ნანგრევები
XII საუკუნე.

ქვეყნის ძალები. XVIII საუკუნის ბოლოს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთთან დებს ხელშეკრულებას. 1801 წელს საქართველო რუსეთის იმპერიას შეუერთდა, რითაც ირანისა და თურქეთისაგან მოსალოდნელ ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა.

XIX საუკუნის ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია საცხოვრებელი სახლების არქიტექტურა. თუ ოფიციალურ მშენებლობაში დანერგილმა არქიტექტურულმა სტილმა თითქმის


ღერმონტოვის ქუჩის დასაწყისში მდგარი სახლი დავასახელოთ.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული არქიტექტურა, მსგავსად რუსეთისა, აპყვა სხვადასხვა არქიტექტურულ მიმდინარეობას და „სტილს“. არქიტექტორები, რომლებიც არ იცნობდნენ ქართულ არქიტექტურას და უნდოდათ მათ მიერ აგებული შენობებისათვის „აღმოსავლური“ იერი მიეცათ, იოლად ექცეოდნენ სხვადასხვა „ეგზოტიკური სტილის“ ვავლენის ქვეშ. ასე იყო აგებული თბილისის ქალაქის საბჭოს შენობა, ოპერის თეატრის შენობა და სხვ.

ამ დროს იყო რამდენიმე ცდა (უკვე XX საუკუნის მიჯნაზე) ეროვნული ხუროთმოძღვრების გამოყენებისა, მაგრამ ესეც ქართული ისტორიული არქიტექტურის ცალკეული ფორმებისა და ორნამენტულ მოტივთა გამოყენების ფარგლებს

გერ სცილდებოდა და იმდროინდელი არქიტექტურის საერთო განვითარებაზე არსებითი ვავლენის მოხდენა არ შეეძლო. თუმცა ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება ისეთი შენობაც, როგორცაა ყოფილი თავადაზნაურობის ბანკისათვის (დღეს კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა) განკუთვნილი ნაგებობა.

ქართული ხუროთმოძღვრების შემდგომი განვითარებისათვის ქემარიატად საღი ნიადაგი საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ შეიქმნა, როცა არქიტექტურულ შემოქმედებას ქართული ისტორიული ხუროთმოძღვრების დიდ ტრადიციებზე აღწრდილ არქიტექტორთა მთელი რაზმი ჩაუდგა სათავეში.




თბილისი. საცხოვრებელი სახლი ლერმონტოვის ქუჩაზე XIX საუბ. შუა წლები.

მიუხედავად მკვეთრი ეროვნული და სოციალური ჩავგრისა, ცხოვრების ახალი პირობები ახალ ძალას ჰმატებდა ქვეყნის ეკონომიკას, რომელიც კაპიტალიზმის გზას დაადგა.

ოფიციალური მშენებლობა რუსული კლასიციზმის გზით წარიმართა XIX საუკუნის არქიტექტურულ შემოქმედებაში დიდი უურადლება დაეთმო ქალაქმშენებლობას. ჩვენს პირობებში ფაქტიურად პირველად გაჩნდა რეგულარული ანუ მოწესრიგებული გეგმარება, გაჩნდა გეგმითი საწყისები, რომელსაც დაემორჩილა მთელი ქუჩების, კვარტალებისა თუ მოედნების განაშენიანება-დაგეგმარება.

მთლიანად შთანთქა ადგილობრივი ეროვნული ნიშნები, საცხოვრებელი სახლების არქიტექტურაში იგი ჰარმონიულად შეერწყო მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს. ძველი თბილისის რაიონებში უხვადაა ისეთი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც უურადლებას იპყრობენ ვრცელი აივნებითა და ტერასებით, ხის ოსტატურად დამუშავებული მოაჯირებითა და თაღებით, რომელთა არქიტექტურაში ორგანულ თანხმობაშია ადგილობრივი ტრადიციები და კლასიკური ორდერული სისტემის ზოგიერთი თავისებურება. ასეთ სახლს ჩვენ „თბილისურ სახლს“ ვეძახით. მრავალთაგან მაგალითად შეიძლება

956.01



წუნქონა

პალანგინა პევილინა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი პაპაი თევზაძე.

ძველი ქოხი გადმოჰყურებს სინეზორკას. ქოხი თითქოს გამოქცეულა, მდინარის პირას გაშეშებულა და კამკამა წყალზე გაშტერებია თვალი. მყუდროება სუფევს ირგვლივ.

ორთქლმავალმა შეჰკივლა, ხმა ხის კენწეროებს გადაევიდა და საღვთო სინეზორკას იქით მიწყდა.

— ბუკივით არ ყვირის! — ჩაილაპარაკა ეგორიჩმა, — რა ეღარდება, რა!

საყვირს ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა თავისი სიმღერა, რომ გაისმა მკვეთრი აფეთქების ხმა. სოსნიცას ბომბავდნენ.

ეგორიჩმა ფეხს აუჩქარა. ვინ იცის რა უჭირთ სოსნიცელებს. მოხუცს მძიმე ფიქრები შემოაწვა, განთიადისასაც ისმოდა ყრუ აფეთქებები. რად უნდა ლაპარაკი, გერმანელებმა ფრონტი გაარღვიეს. ტიპები დობროვოდსკისაკენ მიიწვივნენ, უნდა გაეცალოს კაცი, მაგრამ როგორ? თითქმის მთელი სიცოცხლე ტყეში გაატარა. ხელისგულივით იცის ყველა ბილიკი, ყოველი არყისხე თავმდაბლად ესალმება. ხუმრობაა, უცხო მხარეს წასვლა? — სევდიან ფიქრებში გართულიყო ეგორიჩი. ვერც კი გაიგო, როგორ მიადგა რკინიგზის ასაქცევს.

— რაღაც, ძალიან შეეჩვივნენ აქაურობას გერმანელები! ძერის გაშლილი ფრთის ჩრდილი დაჰფარავს რკინიგზის ამ ასაქცევს, ისეთი პატარა ადგილია და მაინც ჯარისკაცით დაჭრეს, დაკოდეს, ცუდი დრო დაგვიდგა! უბედურებამ მოიცივა სოსნიცა!

წვიმის ღრუბლებს ნაძვის კენწეროები შემოეზურა. მერე შხაპუნა წვიმამ დასცხო დანგრეულ არემარეს, ქოხმახებს, ფრონტისაკენ მიმავალ მატარებელს.

ეგორიჩი დაელოდა, სანამ წვიმამ არ იკლო, რკინიგზა მიიარ-მოიარა, ნაცნობები მოინახულა და უკვე ბინდებოდა, შინისაკენ რომ დაადგა გზას. მოხუცი მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა ახლად გათვლილ ბილიკზე. დაძველებულ ფეხსაცმელში სისველე ატანდა, ჰაერიც გაგრილდა. ყოჩაღად მიაბიჯებდა ეგორიჩი. დადლილობას არ გრძნობდა.

უცებ ვიღაცის ლანდს მოჰკრა თვალი. იქნებ ნაცნობია? გაუხარდა, ერთად ვივლითო.

დააცქერდა — გზაზე პატარა ბიჭი მოდიოდა. ზურგზე ჩანთა ეკიდა. ტვირთი არ იყო დიდი, მაგრამ მაინც

უჭირდა პატარას. ბიჭი გაუბედავად ადგამდა ნაბიჯებს, დრო და დრო ფეხს წამოჰკრავდა ხოლმე და წაიბორძიკებდა. ნეტავ, სად მიდის ამ ღამით?

პატარა მოგზაური ხანდახან შეჩერდებოდა, რაღაცას მიუღლებდა ყურს, მაგრამ იმწამსვე შეისწორებდა ტვირთს და ისევ განაგრძობდა გზას.

ძილში აქვითინდა ჭოტი, წამოიყრანტალა. ბიჭი შიშისაგან განზე გახტა და შეჰყვირა.

ტყე გამოეხმინა წკრიალა ხმას. ბიჭი ისევ ყვიროდა, მის ხმას ძალა ხან აკლდებოდა, ხან ემატებოდა. მოულოდნელად ფეხი გუბეში ჩაუვარდა და დავარდა. შიშისაგან და სიცივისაგან აცახცახებულმა, სახე ჩამოცვენილ ფოთლებში ჩამალა. ეგორიჩმა წამოაყენა ბავშვი.

— რა დაგემართა, ბიჭუნავ? ჭოტის ხომ არ შეგეშინდა? შე საცოდაო! — ეალერსებოდა და თან ტანსაცმელზე აკრულ ფოთლებს აცლიდა. — ფეხშიშველაც ხარ. ფეხსაცმელი დაკარგე?

ბიჭი უხმოდ შეჰყურებდა მოხუც მეტყვევს. ეტყობოდა უკვე აღარ ეშინოდა.

ძლივს გამოსტყუა ეგორიჩმა ბიჭს სახელი, თურმე ანტონა ერქვა. რაკი სოფლიდან ყველა გაქცეულა, ისიც უკან გამოსდევნებია. გზა დაჰკარგვია ტყეში, დედას, ძმებს: პეტის და ვოვას ეძებს.

— ეს რა უბედურებაა! რა უბედურებაა!? — უკვე მერამდენჯერ ამოიოხრა დილას აქეთ მოხუცმა მეტყვევმა. — რამდენი დაობლდა დედამიწის ზურგზე!

ეგორიჩი ბიჭს თავს არ აბეზრებდა შეკითხვებით. ტყეში მარტოობით, ხმამალა ფიქრს იყო მიჩვეული. ამ ბოლო დროს სიჩუმე აშინებდა. გზადაბნეულ, ბეჩავი ბავშვისაგან რას გაიგებ, — ფიქრობდა ეგორიჩი, — ჯერ ბრეივია; ხუთი წლისა თუ იქნება!..

სოსნიცას ისევ გადაევიდა მატარებლის ყრუ გრუხუნი.

ანტონამ თვალეტი მოხუცა, ეგორიჩს ჩაეკრა, ესლა იყო იმედი, ეგორიჩი მიხვდა, ბავშვი შეშინებული იყო, ოღნავი ხმაურიც კი აკრთობდა.

— მატარებელია, — აუხსნა ეგორიჩმა. — ტყეში ნუ რაფრისა ნუ გეშინია. აქ რა უნდა დაბომბონ გერმანელებმა? მარტო ადამიანებს უმიზნებენ, აქ კი ხეების მეტი არაფერია.

ეგორიჩმა ბიჭი ხელში აიყვანა. მხატვ იყო, არ უჭირდა ტარება.

შამბნარში სინეზორკამ გაიღვია. მის ახლოს ძველი სახლი გამოჩნდა.

ანტოშას ადრე გამოეღვიძა, მიიხედ-მოიხედა. ოთახი ეუცხოვა. ძელის, შეუთეთრებელ კედლებზე გამხმარი ტოტები ეკიდა. ბალახის სუნი ტრიალებდა ირგვლივ. ღია ფანჯარაში წვიმისაგან გახასხასებული ნაძვის ხე იჭყიტებოდა.

კარმა გაიჭრიალა. ჭრიალზე ანტოშამ მოიხედა, თვალი მოჭუტა. კარებში თოვლის პაპა იდგა. თეთრწვერა, მწითური. თვალებს ფუნჯივით გაფარჩხული თეთრი წარბები უფარავდა.

ანტოშამ თავი ბალიშში ჩარგო და ჰკითხა:

— შენ თოვლის პაპა ხარ?

ყარა, რომ მხიარულად ეწიშინა, გამხმარ ყოლოსაგან ჩაი მოხარშა და ანტოშას დაუძახა.

— დედა მინდა! — სევდიანად გამოეპასუხა ანტოშა. ეგორიჩმა დამნაშავესავით გაიღიმა, არ იცოდა რა ეპასუხნა. სად ეძებნა ამ ბიჭუნას დედა?

— ჯერ ჩაი დალიე, — მოეფერა ეგორიჩი, — მერე წავიდეთ დედაშენის საძებნელად, ქალაქშიც გავიღეთ, იქნებ იქ გავიგოთ რამე. აბა, ამ ალიონზე სად წავიდეთ?

— მე ახლა მინდა! — ატირდა ანტოშა.

— არ იტირო, არ იტირო, — ამშვიდებდა ეგორიჩი. — ეგრე ფეხშიშველი სად უნდა წაგიყვანო? ზაფხული ხომ არ არის. — შენ სუსნიასთან და ბურდლუნასთან დარჩი. მე მარტო გავალ სოსნიცაში. მალე დავბრუნდები, იქნება რამე გავიგო დედაშენზე.

ეგორიჩმა სწრაფად ჩაიცვა, მაგრამ ჭიშკართან მივიდა თუ არა, ტირილი მოესმა.



— არა, — გაცინა „თოვლის პაპას“.

— აბა, თეთრი წვერი რატომ გაქვს? ტყეში რატომ ცხოვრობ?

— ტყისმცველი პაპა ვარ და იმიტომ, სახელად ეგორიჩი მქვია. ნუ გეშინია, შვილო, ასწი თავი. თოვლის პაპები მხოლოდ ახალ წელს მოდიან, ახლა კი შემოდგომაა, უთოვლოდ, თოვლის პაპა? აბა, შენ თვითონ თქვი.

ანტოშა გათამამდა და თავი ასწია. ეგორიჩმა კი საუბარი განაგრძო:

— შეხედე, მაგიდის ქვეშ ორი წავი გემალემა. ერთს სუსნია ჰქვია, მეორეს — ბურდლუნა. ეს სახელები, ჩემმა შვილოშვილმა დიმიტრამ დაარქვა. უყვარს მაგათთან თამაში. ისეთი კარგები არიან, თუ შეგეჩვევიან, აღარ მოგშორდებიან. სუყველაფერი ესმით. მიდი, ეთამაშე. ანტოშა მიუახლოვდა ცხოველებს, ხელი წაიღო მათკენ, მაგრამ მოალერსება კი ვერ გაბედა. იდგა და შეჭყურებდა.

ეგორიჩმა გარედან ძველი, გამწვანებული სამოვარი შემოიტანა და მაგიდაზე შემოადგა. მერე შიგ ნახშირი ჩა-

— არ წახვიდე, მეშინია...

ეგორიჩს სიბრაულემა გული ჩასწყვიტა, კარებში ფეხშიშველი ანტოშა იდგა. დაჭრილ ნუკრს გავდა. უცრემლო თვალეში დიდი სევდა ჩასდგომოდა და შიშისაგან მობუზულიყო.

ეგორიჩი გამობრუნდა, ქოხში შემოიყვანა ბიჭი.

— გულს ნუ იხეთქავ... მოდი, მე და შენ ფეხსაცმელები შევკეოთ. მერე კი დედიკოს საძებნელად წავიდეთ, კარგი?

ეგორიჩმა სხვენიდან თავისი ძველი ჩექმები ჩამოიღო და ფიქრს მიეცა. როგორ მოეხერხებინა რამე.

— ისეთი ჩექმები გამოგიყვანო, — ლაპარაკობდა ეგორიჩი, — მიდი მერე და რამდენიც გინდა იმდენი იცეკვე, გაუსვი და გამოუსვი, კულეიარაში ჩემს შვილოშვილთან მიტიასთანაც წავიდეთ, ისეთი ღონიერი ბიჭია!

ანტოშას ეგორიჩის ლაპარაკი ტკბილ ღიღინივით ესმოდა. მოხუცსაც უხაროდა გვერდით სულიერის არსებობა.

— ჩემი ჯარისკაცები სად არიან? — უცებ სიტყვა შეაწყვეტინა ბიჭუნამ ეგორიჩს.

— რომელი ჯარისკაცები?
— ტყვიისა, ერთი თოფიანია, მეორე კი — ცხენზე
ხის.

— ალბათ სახლში დატოვე, — უთხრა ეგორიჩმა.
ანტოშა დაღონდა და გაჩუმდა. მერე უცებ წამოხტა,
ჩანთასთან მიიბრინა და შიგ დაიწყო ფათური.

— აი, მართლა, მომაგონდა! ჩემი ჯარისკაცები ჩან-
თაშია, — გაიხარა ბიჭმა და ჩანთა სკამიდან გადმოათ-
რია. ტყვიის ჯარისკაცები სუფთა ფარდაზე უხმოდ და-
ცვივდნენ, მერე ალბომი გადმოვარდა და სურათები დაი-
ფანტა. ანტოშა სურათებს დაეძგერა: სათითაოდ ათვა-
ლიერებდა, დიდხანს დასცქეროდა და ალბომში აწყობ-
და ისევ.

— ნახე, აი ჩემი დედა!
ეგორიჩმა სურათი გამოართვა. სურათიდან მომცი-
ნარი ქალი იყურებოდა — ნათელი სახე აქვს, იცინის! —
თქვა ეგორიჩმა.

— ჩემი დედა მხიარულია, — ჩაილაპარაკა ანტო-
შამ.

ეგორიჩი ალბომს დინჯად ფურცლავდა. ანტოშას დე-
დის სახე ეცნო. უეცრად მისამართიან კონვერტს წააწყ-
და: „დობროვოდსკი, ოლგა პეტროვნა ივკინას“.

ეგორიჩი დობროვოდსკში, ერთ აგრონომს ოლგა
პეტროვნა ივკინას იცნობდა, იქნება სწორედ ის არის
ანტოშას დედა?

ანტოშამ დიდი სურათი ამოარჩია.

— აი, კიდევ ჩემი დედა!

სურათზე ბევრი ხალხი იყო. გაშრა ეგორიჩი.

— ანტოშა, — სახე გაუნათდა მოხუცს, — წაიკითხე,
ზემოთ რა სწერია.

— კითხვა არ ვიცი!

— აქ სწერია, — აღელდა ეგორიჩი, — შეხედე:
„დობროვოდსკის სოფოზი“. ხედავ, აი პირველ რიგში,
მე ვზივარ, შეხედე!

— გაზაფხულზე დობროვოდსკში თათბირი იყო, —
ჩქარობდა ყველაფერი ეამბნა ეგორიჩს, — ტყეზე და
სოფლის მეურნეობაზე იყო ლაპარაკი. თათბირის შემ-
დეგ ყველამ მოინდომა სურათის გადაღება. მეცა მაქვს
ასეთი სურათი. — ეგორიჩმა კედლიდან სურათი ჩამოხ-
სნა, ჩარჩო ჩიტებითა და ცხოველებით იყო მოხატული.

— მაშ იცნობ ჩემს დედას? — ჰკითხა ანტოშამ. —
იპოვნი?

— ვიპოვნი, აბა რა! — შეჰპირდა ეგორიჩი, — უსა-
თუოდ ვიპოვნი!

შუადღისას ეგორიჩთან ნატალია და მიტია მოვიდ-
ნენ. ისინი ახლოს, ტყისპირა სოფელ კუდეიარაში
ცხოვრობდნენ. მიტია თორმეტი წლისაა, მაგრამ თოთ-
ხმეტისა გეგონებათ. თავის პაპას ჰგავს, მაღალია, თვა-
ლებიც პაპასავით ლურჯი და კეთილი აქვს...

ნატალიამ ანტოშა რომ დაინახა, გოცებისაგან ხე-
ლი ხელს შემოჰკრა.

— ეს წეროკინა, გაწრიპული ბიჭი ვინ არისო?

— თორემ შენ ხომ კანში ვერ ეტევი. — გამოექო-
მაგა ეგორიჩი ანტოშას. — ლერწამივით წელში წყდები.

მიტია სუსნიათი და ბურღლუნათი იყო გართული,
ეტყობოდა რალაც გემრიელს აჭმევდა, წავებს პატარა
ბავშვებივით უყვართ სასუსნავი, განსაკუთრებით სუს-
ნია იყო მსუნავი და ეს სახელიც იმიტომ შეარქვეს.

ანტოშა სიამოვნებით უცქერდა წავების მხიარულე-
ბას, თანდათან გათამამდა, მიტიას გამოელაპარაკა:

— რა სასაცილოები არიან, არა!

— მხიარულები არიან, — შეაქო მიტიამ პატარა
ცხოველები და ანტოშას უთხრა: წამო, გინდა სინეზორ-
კაში ვაბანაოთ.

— შენ სუსნია აიყვანე, უფრო წყნარი და პატარაა,
მე ბურღლუნას წამოვიყვან. ეს, ცოტა არ იყოს, შმაგია!
სუსნია ალერსიანი გამოდგა. მკლავებში მყუდროდ



მოიკალათა. ანტონაც შეეჩვია, აღარ ეშინოდა, საუბარიც კი გაუბა.

სინეზორკა ქოხს იქვე ახლოს ჩამოუდის. ჩუმად მიდუღუნებს შამბნარში. სუსნიამ და ბურდღუნამ ხელად ჩაყვინთეს წყალში, ჭყუმპალობდნენ, სიამოვნებისაგან ფრუტუნებდნენ. მერე თევზის დაჭერა მოუხდათ. მართალია მაძღრები იყვნენ, მაგრამ ახალი თევზით პირის ჩატკბარუნებაზე მაინც არ იტყოდნენ უარს.

— წეროკინა, — დაუძახა მიტიამ ანტონას, — მოდი, ხეს ამოვეფაროთ აბა, მოგვძებნიან?

წავებმა ჯერ ვერ შეამჩნიეს რომ ნაპირზე აღარავინ იყო. მერე სცქვიტეს ყურები, წყლიდან ამობობდნენ და მოკურცხლეს — ღიპებს მიწაზე მიათრევდნენ. მერე ერთბაშად წვრილი ხმით აჭყიბინდნენ: იქამდე იყვირეს, სანამ მიტია და ანტონა არ გამოხტნენ საფარიდან.

ბურდღუნა მალე არ დამშვიდებულა. „ნეტავ რას იმალებოდნენ ამ ტყეში, გულები დაგვიხეთქეს“. — ბურდღუნებდა და ბურდღუნებდა. ალბათ, ემუქრებოდა: — მოიცათ, ეგორიჩთან თუ არ დაგაბეზლოთო.

ეგორიჩი კი შინ არ იყო. ის და ნატალია დობროვოდსკში წავიდნენ, ოღვა პეტროვნას ამბის გასაგებად. იქნებ მართლა ვიპოვნოთო. ანტონასაც ასე უთხრა წასვლის დროს: „მე და ნატალია დედაშენის საძებნელად მივდივართ, ჩვენს მოსვლამდე არ მოიწყინოო“.

სინეზორკაზე თამაშის დროს არ მოუწყენია ანტონას, მაგრამ დაბრუნდა თუ არა ქოხში, დედა და ეგორიჩი მოენატრნენ.

სუსნიამ და ბურდღუნამ თავის კუთხეში მოიკალათეს და დაეძინათ, ანტონა ჩუმად იჯდა და ელოდა ეგორიჩს.

მიტიამ დაღუპულ მებრძოლებზე დაიწყო სიმღერა. ჯერ ისე ჩუმად მღეროდა, თითქოს შორიდან ისმოდა, მერე ხმას აუწვია, წკრიალა ხმა ჰქონდა, სიმღერა ტყის შრიალს შეუერთდა და მდინარეს გადაუფრინა. ანტონა აღელდა, თვალები ცრემლებით აევსო. ახალგაზრდა მებრძოლი შეებრალა.

მერე მიტიამ კახოვკა იმღერა, ამას „სამი ტანკისტი“ მოაყოლა, მაგრამ სიმღერა ვეღარ დაამთავრა. ეგორიჩი და ნატალია დაბრუნდნენ.

— დედა? — მივარდა ანტონა ორივეს. — დედა ვერ ნახეთ?

— ვერა, ანტონა. მთელი დღე ვეძებეთ, — უპასუხა ეგორიჩმა. ნატალია მოეფერა მობუზულ ბიჭს და სთხოვა:

— არ იტირო, წეროკინა. მოითმინე, გენაცვალე. დედა თვითონ მოგძებნის, ალბათ გეძებს კიდევ. მოიცადე და მოვა.

— მოვეცდი, — შეჰპირდა ანტონა. — ნეტა ჩქარა მომძებნოს.

ანტონა დამშვიდდა. დაიჯერა, რომ დედა ეძებდა და

აუცილებლად იპოვნიდა. ოღონდ ცოტა უნდა დაელოდოს.

გრგვინავდა, ზანზარებდა დედამიწა. იქნებ შემოდგომის დაგვიანებული ქუხილია? თუ კუდიარას გადაღმა ბრძოლაა გაჩაღებული?

უცნაური იყო ეს ქუხილი. ერთმანეთში ირეოდა ქუხილისა და ქვემეხის ზალპი. დედამიწას წვიმისა და სისხლის ნაკადი უტყლაშუნებდა.

გარიჟრაჟე ჭექა-ქუხილი მიწყნარდა. მზემ გამოანათა. დედამიწა კი ისევ დიდხანს ზანზარებდა, სანამ სადღაც დობროვოდსკიდან შორს არ გადაინაცვლა გუგუნმა. ეგორიჩი ღამე არ დაწოლილა. ვინ იცის, რა უბედურება მოხდეს ამ ღამით!

შუადღისას კი ნატალია შეშფოთებული მოვარდა.

— დავიღუპეთ, მამა, დავიღუპეთ!

ეგორიჩს გული გადაუბრუნდა.

— გერმანელები მოვიდნენ?

— დობროვოდსკი აულიათ გუშინ. სტეფანიდა ქალაქიდან მოვიდა ახლახანს და თქვა, ყველაგან ბრძანებები გაკრული. ყველაფრისათვის დახვრეტით იმუქრებიან; ვინც საეჭვოა, იჭერენ, კარგი არაფერი გველის! — ატირდა ნატალია.

— ჩუმად, გულს ნუ იხეთქავ, — შეევედრა ეგორიჩი, მოხუცი სინანულით შეჰყურებდა გამხდარ ქალიშვილს. დასამშვიდებელი სიტყვა ვერ მოეძებნა. მოულოდნელი უბედურება დაატყდა ყველას თავზე.

— გვეგონა აქამდე ვერ მოაღწევდნენ გერმანელები, მაგრამ მაინც მოვიდნენ. რა უბედურება!

— უნდა წამოხვიდე, შვილო. ჩემთან გადმოდი. აქ გერმანელი ვერ მოაღწევს: შამბნარი და ჭაობია. გზა თუ არ იცი, ძნელი გამოსაგნებია.

ნატალიამ ამოღამებული თვალებით გამოხედა მამას.

— ცოტას კიდევ მოვიცდი კუდიარაში. თუ რამე მოხდა იმწამსვე წამოვალთ მე და მიტია შენთან... ვაიმე, ამას რას მოვესწარი, საკუთარ მიწაზე უნდა დავიმალო!

— თავს ნუ იკლავ, ნატალია, — აწყნარებდა მამა შვილს — დიდხანს ვერ გაძლებენ გერმანელები. ასე ეტანებოდნენ მუდამ ჩვენ მიწას უცხოელები. მოსწონთ აქაურობა. მაგრამ რუსული მიწა მოძალადეს ვერ იტანს და ამ გერმანელებსაც გაუსწორდება. მე შენ რასაც გეუბნები, დაიჯერე! თავს ნუ იკლავ, შეხედე, წეროკინაც შეაშინე.

ნატალიამ ცრემლები მოიწმინდა და ანტონას გამოელაპარაკა.

— რა მატირებს მე სულელს. შენ არ შეგეშინდეს, აქ ვერ მოვა გერმანელი.

ეგორიჩმა ხუმრობა დაიწყო:

— ნეტა რისი უნდა ეშინოდეს? შეხე, რა არმია ჰყავს. ერთი ფეხოსანი ჯარისკაცია, მეორე — ცხენო-

სანი, ჩვენი წეროკინა კი ყველას მეთაურია, არა, ანტომა?

ანტომა მიუხვდა ხუმრობას, გაუღიმა.

მეორე ზაფხულს ხვდებოდა ანტომა მოხუცი მეტყვევის სადარაჯო ქოხში. ორნი ცხოვრობდნენ. ნატალია დობროვოდსკის საავადმყოფოში მუშაობდა. მიტია სხვა კუდეიარელებთან ერთად პარტიზანებთან წავიდა.

ეგორიჩი ხშირად მიდიოდა ქალაქში ნატალიასთან. დაბნელებამდე ბრუნდებოდა, რომ გერმანელების საგუშაგოს არ წაწყდომოდა.

უკვე ომის მესამე წელი მიდიოდა. ერთ დღეს ეგორიჩმა ქალაქში ანტომაც თან გაიყოლა.

— გზა კარგად დაიხსომე, წეროკინა, დააკვირდი. — როგორც კი გამოვიდნენ სახლიდან უთხრა ეგორიჩმა, — ამ მუხიდან სულ პირდაპირ უნდა იარო და კუდეიარაში მიხვალ.

ანტომამაც კარგად იცოდა კუდეიარის გზა. ხშირად დადიოდნენ ის და ეგორიჩი ნატალიასთან, სანამ ნატალია სოფელში ცხოვრობდა.

ნაცნობი სოფელი გაიარეს. ხუტორი მარეცკი თეთრად მოჩანდა. ეგორიჩი ისევ გზას ასწავლიდა ანტომას:

— ყურადღებით იყავი, წეროკინა, დაიმახსოვრე. ეს შარავზა პირდაპირ დობროვოდსკში ჩაგყვანს, სიფროხილეს თავი არ სტკივა, სჯობს სინეზორკას გაყვით:

მდინარისაკენ გადაუხვიეს, ადგილობრივ მაცხოვრებლებს ბალახი გაეთელათ, ალბათ. აქედან მოკლე და უშიშარი გზაა, გერმანელს არ გადაეყრებე.

დობროვოდსკის სერზე რომ გავიდნენ, ეგორიჩი ისევ თავისას გაიძახოდა:

— ახლა მთიდან გადახედე გარემოს, აბა, უკან წასავლელ გზას იპოვნი?

— მე მგონი ვიპოვნი, — უბასუხა ანტომამ და გაიმეორა ყველაფერი ისე, როგორც ეგორიჩმა ასწავლა.

— ყოჩად, — აქებდა ეგორიჩი. — იქნებ გამოგვადგეს ეს გზა.

ეგორიჩი არ შემცდარა. მალე დობროვოდსკი შავფარაჯიან გერმანელებით აივსო. მკლავზე ისეთივე ნიშანი ეკეთათ, როგორც ელექტრონის ბოძებზეა ხოლმე გაკრული — თავის ქალა! შავფარაჯიანებს გაუბრბოდა ხალხი, ყველამ იცოდა, რომ ისინი დაუნდობელი და ბოროტები იყვნენ, მშვიდობიანი ხალხის გასანადგურებლად მოსულნი.

ქალაქი ეკლიანი მავთულით იყო შემოღობილი. გზებთან საგუშაგოები იდგა. ანტომა და ეგორიჩი ნაკლებ ეჭვს ბადებდნენ: მოხუცი და პატარა ბიჭი ადვილად გადაიოდნენ ქალაქში და თან პარტიზანელების დავალებას ასრულებდნენ.

ნატალია პარტიზანელების მზვერავი იყო. ანტომამ, რასაკვირველია, არ იცის მიზეზი რისთვის დადიოდა ქა-

ლაქში ეგორიჩი, ეგორიჩისათვის ანტომა საფარი იყო, გერმანელ პოლიციელებს ეჭვი რომ არ აეღოთ.

ერთხელ, ეგორიჩი დობროვოდსკიდან სოფელ დობრონიჩში წავიდა. ანტომა არ წაუყვანია, ხვალ დავბრუნდებიო უთხრა.

ანტომა ნატალიასთან დარჩა. მაგიდას მიუჯდა და წითელი ფანჯრით მეტყვევის ქოხის ხატვა დაიწყო, ქვემოთ მშვიდი სინეზორკა და ხეები დახატა.

თუმცა იცოდა ბიჭუნამ ქვეყნად არ არსებობს წითელი ქოხი, არც მდინარე და არც ტყეებია წითელი, მაგრამ ხატვა უნდოდა და სხვა ფერის ფანჯარი კი არ ჰქონდა. მშვიდობიან დღეებიდან მხოლოდ ეს ფანჯარია და დარჩენოდა ნატალიას.

— წითელ სურათს დეიდა ნატალიას ვუჩვენებ, — უხაროდა ანტომას. — ვაჩუქებ. ჩემთვის კიდევ დავხატავ. — ანტომა მოუთმენლად ელოდა სალამოს ნატალიას დაბრუნებას.

ნატალია ადრე მოვიდა, მაგრამ ძალიან ალეღვებული იყო:

— წეროკინა, გენაცვალე, რა საშინელება მოხდა! შავფარაჯიანი გერმანელები კუდეიარაში მიდიან, ხალხის გაწყვეტას აპირებენ. კუდეიარელებმა არც კი იციან რა მოელოთ. მე ვერ შევატყობინებ. უსაშვოდ არ გამიშვებენ, რა ვქნათ? შენ უნდა გადააჩინო კუდეიარელები, ჩემო წეროკინა. გაფრინდი სოფელში, სტეფანიდას მიუბრახუნე და უთხარი:

— ყველანი ტყეში წადით, თორემ გერმანელები მოდიანთქო!

ანტომას შეეშინდა. უეგორიჩოდ არასოდეს არ ყოფილა კუდეიარაში. ნატალია კი სულ უფრო და უფრო დაბეჯითებით სთხოვდა:

— წადი, ჩემო წეროკინა! შენც ხომ მიტისასვით ყოჩალი ბიჭი ხარ. კუდეიარელებს რომ არ შევატყობინოთ, დაიღუპებიან. შენი ჭირიმე, წადი!

ანტომამ გაიმეორა, რაც სტეფანიდასათვის უნდა გადაეცა და სახლიდან გავიდა.

— თუ ვინმე რამეს შეგეკითხება, — არიგებდა ნატალია, — თქვი, რომ მარეცკში მიდიხარ. ქალაქში პურის სათხოვნელად ვიყავითქო.

განაპირა სახლთან გაჩერდა ნატალია, მერე გერმანელების საგუშაგოები იწყებოდა.

— სულ პირდაპირ იარე, ყოჩადად. ერთი ხუტორი შეგხვდება, — უჩუჩრულებდა ნატალია, — გზა არ აგერიოს.

— ვიცი, — ამშვიდებდა ანტომა.

ქალაქიდან მარტო გავიდა ანტომა. ნატალია კი შორიდან ფრთხილად უთვალოვალეებდა, რომ არავის შეემჩნია.

აბუზული ანტომა უკვე საგუშაგოსთან მოჩანდა, სწორედ აქ იყვნენ გერმანელები ჩასაფრებულები. უეცრად მას ერთი გერმანელი წამოეწია, მხრებში ჩაავლო



ხელი, დობროვოდსკისაკენ მიაბრუნა და პანლური ამოპკრა. ანტოშა წაიქცა, მერე წამოდგა და სწრაფად გაიქცა. ჯიხურიდან კიდევ ორნი გამოცვივდნენ, რალაცას უყვიროდნენ, ხმამალა იცინოდნენ და შეძახილებით აშინებდნენ. ანტოშამ ყურებზე ხელი დაიფარა და ისე მიბრბოდა. ფეხი უცდებოდა; ეცემოდა. შეშფოთებული ნატალია თვალს არ აშორებდა, მაგრამ შველა არაფრით არ შეეძლო. გერმანელები მიიმაღნენ თუ არა ჯიხურში, ნატალია ბიჭს გამოეკიდა.

— ანტოშა, წეროკინა, — ჩუმად დაუძახა.

ანტოშა შეერთა, ნატალიას მივარდა, მოეხვია და ატირდა. ნატალიამ დააცალა ანტოშას ტირილით გული ეჯერებინა, შიშს გაეგლო, მერე კი სახლში დაუპირა წამოყვანა. მაგრამ ანტოშა უეცრად შეჩერდა.

— დეიდა ნატალია, მოიცა — ჩურჩულით უთხრა, მე სხვა გზაც ვიცი. ეგორიჩმა მასწავლა: „დაიმახსოვრეო“. მეც დაეიმახსოვრე. სინეზორკას ნაპირზე ძეწნარით წავალ.

ნატალია მადლიერებით შეპყურებდა ანტოშას.

— წადი, წეროკინა, წადი გენაცვალე. გერმანელებმა რომ არ დაგინახონ, ბუჩქებში ჩაიმალე.

ანტოშა სინეზორკის ნაპირს გაჰყვა და მალე შამბნარში მიიმალა. ნატალია თვალს არ აშორებდა, ეშინოდა გერმანელებს არ ესროლათ ბიჭისათვის. მაგრამ სიწყნარე იყო. „ალბათ უკვე გაიარა ქალაქი“, — თავი დაიშვიდა ნატალიამ და კიდევ უფრო ყურადღებით დაუგლო ყური. მერე მოაგონდა, სამსახურში წასვლის დრო იყო და გამობრუნდა.

ტყე სირბილით გაიარა ანტოშამ, უნდოდა ნატალიას

დავალეზა მალე გადაეცა. სტეფანიდას სახლს მიეპარა, მიწა-ნაყარზე აცოცდა და ფანჯარაზე დააბრახუნა.

— ბეზია სტეფანიდა! ბეზია სტეფანიდა!

შეშინებული სტეფანიდა გამოვარდა, უკან შვილი-შვილი დიმიტრუშკა მოჰყვა.

— ბეზია სტეფანიდა! — იყვირა ანტოშამ. — გერმანელები მოდიან! ნატალიამ — ახლავე ტყეში წადით, შინ არავინ არ დარჩესო!

ავიშვიშდა სტეფანიდა, აფუსფუსდა, სახლში შევარდა ბარგის მოსაკრეფად, მერე ისევ დაბრუნდა და ბიჭებს დაავალა:

— ჩქარა გაიქეცით და მთელ კუდეიარას ყვირილით მოსდეთ:


„გერმანელები მოდიანთქო!“

— გერმანელები მოდიან! გერმანელები! — ყვიროდნენ შეშინებული ბიჭები.

სტეფანიდაც გაიქცა მეზობლებთან, გააფრთხილა ერთი, მეორე. საშინელი ამბავი ქოხიდან-ქოხში გადადიოდა, ხმამალა ლაპარაკობდნენ, ლალატის არავის ეშინოდა, კუდეიარაში არ ყავდათ გამცემი, პარტიზანული სოფელი იყო.

მალე მთელი სოფელი შეგროვდა, გასაქცევად წინასწარ ჰქონდათ თადარიგი დაჭერილი. ეგორიჩის ქოხის ახლოს, ჯერ კიდევ გაზაფხულზე ამოთხარეს ტყეში სანგრები, მყუდრო ადგილია, წყალიც გვერდით არისო.

ვანთიადისას დაესხა თავს დამსჯელი რაზმი სოფელს, მაგრამ არავინ არ დაუხვდათ. ხალხს სოფელი დაეტოვებინა.



ზონტანეაზოლ ოჯახის სკოლაში ჯიქანეაზოლნი ქაოთიან

მეორის პასი
 შექცეობით რა ბინდა, შექცეობით
 ვინ ვარ მე და გიპასუხებ: მე მხოლოდ და მხოლოდ მსგავსი ვარ ბეჭენი...

რადან მე — ეს თვითონ შენა სარ, დავიხებთ რომ იმწორები სამორაკვეთისა და სილატაკის ამბობებისა და თავისუფლების საბრძოლველად. დამკვიდრებ და იცოდ, რომ ჩემი დაღუპვა ეს შენი სიყვლილი არის. შენ გაგაპასოვ ერთობლივად ჩემი მყოფი მყოფი...

გარე ზაფხულმა მე კი მომხერბა ერთი-მეორე მყოფი მყოფი დაუსრულებელი მყოფი წამითა ჩემი გაყვანილობით უფრო მეტი სარითი ვიცი, ვიდრე ერთი მყოფი ჩანს. ჩემი როგორ რაღაც გაყვანილობა უფრო მინიმალური რამ გავყვნი, ვიდრე წითლი სისხ-

ლი, ანდა თვითონ ამ შავი კანია. ეს არის ჩვენი სართო სწრაფვა უკეთეს ცხოვრებისათვის, უკეთესი სამყაროსათვის. ჩემს ზაფხულს იცოდ უნდათ, რაც შენს ზაფხულს. შენ ამერიკა ვარ. ამერიკა ვარ მე ვარ. მაშ მინიმუმ ეს სიყოფილე და კიდევ უნდა დამკვიდრდეს შენთან ჩემი შემთხვევითი მომხერბა. შენც იცოდ გავი რატიმ ვარ მე შენი რასისთვის წინააღმდეგობა. ჩვენ კიდევ გვაქვს შესაძლებლობა შევიღობიანად ვიცხოვროთ შერთიანი ცის ქვეშ.

„მთელ სახელს ნამცქცსავე ვერ იშვავ, რომ ვაჭარა ვაჭარებო და ვაჭარებო“.

მინიმუმ ეს წამთიანი ნორმა ფონტანეა — უფროსთვის. პირველად რომ შეგხვდეს მას ის-ის იყო დაკვირვა სამუშაო რეინიზაცია. ფული თავდებობა, არ იყო სპეული. ბავშვებს არა აქვთ სასამართო ტანსაცმელი. ერთბაშად რომ ავიდნენ, ისინი სკოლაში ვეღარ იყვნენ.

— შენამე შენთვის ამავთია — მე უნდა ის და დავიწოდებოთ თვალისათვის აღმოცენად შემთხვევებს. — შავი კანისთვის ყველაზე უკეთესი გეგმობილება ეს სულ ბილის ვაჭარებებზე. ვინ უნდა გააადონ და ვინ აიგანონ. — ამას ხშირ ყველთვის თვითკანიათი ვუწვევებ. რა გაეყომა, არავითარი განაოლება არა მაქვს. ამიტომ უფროსი სკოლის მიღწეა არც შეიძლება შევიდეს. სწორედ ამიტომ ვუწოდებოდა ამ ადგილს თვითმეტა წელი შევიწერ და კომპანისა, ვიფიქრობდი ახლა მინიმ ადარ დამითივეზე შეიქო.

ნორმანი — უფროსი — დარბაიელი, საშუალო ტანის, ჩახსხული მამაკაცია, მაგრამ იერობისა, რომ დამარცხების ძირობით მიმდევ პეუს მხრებზე.

„ის სკოლა თავის მხრივ ცუდი რაღაცაა, საჭარუ და ვინ სითვის რაღაც უტყობარობის მსგავსი ადგილებზე.“

ფონტანეაზოლის ოჯახი მერვე ავენი-

5 და რინარდი — 3 წლისა. ძალი და კატა, რომელიც ნადირობს თავივესა და სიჭოჭებზე. პარტუნი კატები სწორედ ამისთვის ყავთ.

თვალის ფონტანეაზოლებს დიდ ქოლამის ოქროს თევზებზე ყავდით. ერთხელ, მათთან დღითი რი მივიღე, პატარა რინარდას უხმოდ მიმოთილა. უფლის თაყვანსა, წინა დღით გაათბოა გამიფრთხილა და წინააღმდეგად დაბოლოე თევზები წყლის ზედაპირზე ტრეტივებდნენ. ბიჭუნა მათ ითვის ადებდა და თან სკუპუნებდა. „თევზები მოვინდენ, მიცდნენ თევზები...“

ქუჩის ფონტანეაზოლი მაგარი ქალი ჩანს, განსაკუთრებით დილაობით. რიყა არავითარ არ მიცემ 39 წლის მაგრამ გადის დედ და ისიც მასთან ერთად ბურღება.

სალამისთვის იგი საკუთარი თავს აღარ მკავს.

— ეს გაუთვალისწინებელი და სიღარიბე შეკავს შენთვის, — მითხრა მან ერთი საღამოს. — ახლა მივლავ გავუღელ სახლში. მართალია მაქვს, მაგრამ ყველთვის, მართალია საშუალოს კატაგებს, მივლავ ბოძობა ჩემზე და ბავშვებზე ანთხები. რომ დავლავ, მერე ამ ქუჩაზე ათავსო ჩემი რისთვის თვალში. ყველაფერი ჩემზე და ბავშვებზე ტყდება. განსაკუთრებით პატარა ნორმისთვის ისინი სულ ვერ იტყობდნენ.

შესი ცელითის ოჯახში რაღაც მუდარობის მსგავსი შექმნას: ყოველ კვირა რიყებზე ვეღ დავდიხარ. ბურღებში, იატაკისა და ფრთების, კუდილებზე რაღაც ფურავს უფროსის აკრებს, კაცებს არ იყის სიღინ მოაქვს სათილის ყვავილებით. მაგრამ რითი გინდა წავაგებოთ ბრძოლის ნაკადლები დაფარი.

ერთხელ მის ოჯახს „საძილე“ შევეყვარე, ის პატარა ბიჭუნა მიმოსვლას ვაჭარობდა და ბჭი მითვის რაღაც უტყობარობის მსგავსი ადგილებზე.

ნორმანი — უფროსი კი მხოლოდ შუღ

ულოში მდგარ ერთად ერთი მაყვალთან. ოთხთხი ატობებოდა ლეკა მწიფიდა. იგი ნორმანზე უკეთესი პატარა წარჩუნ ატობდა მას ტუჩით დასიყვანდა და სისხლი სცემდა.

— ოჲ, ტუჩით ჩვენი, ტუჩით ჩვენი — ამის თქმა და მოახერხა ბჭის და პატარას ტუჩებზე რაღაც მალბათ წაყვას მერე არაბრძოლილი ლეკაგინზე დღევა და ოქროს მოვლა, სამარეულობის კენტი მწიფიდა და დღეს მიუჭდა.

— რა იყო, დედა? — კეთის მან, — რა მისიდა?

ნორმანს ხელში რაღაც წებოვანი ლენტის ვიწროვლო უტყობას. — ფედა, შენც ვერ ვიშვებ — მან გორჯალ დათვის გრძელი მკაჭები მოსჩა და თათის საწილოთი აქედნულ სერვის აკარა.

— ეს რისთვის აკაბი, თავივე რომ არ შემთხვევით — გეთხებ მე.

— არა, — მომიყო მან. ისინი არ ლენტის ერთ წუთში გადახატვენ. ეს იმისთვის ავაკარი, რომ ქართა არ შემთხვევით გრძელ ბესი ფონტანეაზოლი ოთხი უტყობის ბავშვით. სიღარიბესთან ბრძოლის კომიტეტის კანკარაში ეჩანება მას უნდა რაიმე დაეხმარებოდა ეთობა, ანდა უნდა რაიმე შეეღობა კომიტეტის წევრებისთვის თავივეზე, სიჭოჭებზე, ნაკვეთ, ჩამატრულ დაფარებისა და ბიწილო გათბობისაზე.


შეპატრონე მოვლა დაეხმარა, შეგვიანდება და გაყვებით კი არავითარ არ აეთებს. მერე მითხრა ქორსა — რომ დავაკვირებოთ ბიჭის ქორსა — 70 დღეობის გადაღება, მანხივე ბინიდან გამომდებელი გვეყვებოდა.

ბიჭი ჩვენივე კომიტეტის თავმჯდომარე პალტოში ჩამყვლიდა უნდა მაციდან და ისე უნდნენ. სიღარიბისთან ბრძოლის კომიტეტში სამი დღეა არ იყოთილია შენობა. ბილსი თავმჯდომარეზე კეთის ბჭის, წარმოშობით რომელი მხრიდან სარო.

— ჩრდილოეთ კარლიონიდან — მიუვი ბჭისმ. — იქ ხმა გაერყვინდა ქალაქში სიჭოჭებითი მრავალდებან დიდ ფარბიკებით და მეუ აქეთ გამოვეშურე: აბა, რა ვიცილი, ასე თუ იქნებოდა.

— იმდღი არ უნდა დაკარგოთ, — უთხრა მას ხეიონისა და დაუმატა, შეყვლიდი ნორმანი. — უფროსისთვის რაიმე საშუალო გამოგებობით, თუ აქედ საათში იმ დღეობდა.

ქორთო მთავარი მცირე კაცია და ვაჭარს, ჩემთვის ისიც იმდღი ბეღ ნიჭივანა ბიჭუნა... 25



დივარი. გულსდიდა, რომ გიხრათ, ძნელი შენარჩუნო რწმენა, როცა ყველაფერი ასე საწინააღმდეგოა.

სახლიდან რომ გამოვედი გარეუბრისკენ და ჩამტვრეული ხეშოთა ფანჯრიდან ქარს ზღა მათ კარბთან ბაქანზე ნამჭერი მივყარა.

სასაუზნის ფანჯარასთან, სადაც შემწვარი თევზითა და ტაკეცხა კართოფლით უმსაბინძურებოდნენ, ნორმანუმერისი დავინახე.

— გინდათ კარტოფილი? — მეთიხამან იმედით.

მე მივეუბრა ვერაფერი მაქვს საწინააღმდეგო-მეტი. შევდით და მუცლები კარგად ამოვიფეთქე თევზითა და კარტოფლით. უცნაური ბიჭია ეს ნორმანი. მის ლაპარაკში ყველა თვითრეკონია. თვითი პოლიციელის, თვითი ყაზმის, თვითი გამომძვლელის გამოწვევა. მის თვალში მარლუმის მკვიდრობა შეუპოვებია განხვადი, ცამბეი წლისა, ის უკვე მტკიცეა, შეუპოვარი, მკვიდრი ჩასხმული. მაგრამ მტრულად განწყობილება ხშირად ეცვლება საოცარი სინაზით, მას შეუძლია უცაბედად ხელში აიჭიკოს პატარა რიხარდი და დაუსრულებლად ეჭვოს და კიფოს. ანდა დიდს ატყვას, ალერსით შეაღოს ხელი მის საყვრებს და გაუღიბებლად, სერიოზულად რამოფენიშვარ გაუფიქროს: „შენ ღამაში ხარ, დღეიყო, შენ იმეტი ღამაში ხარ!“

ფონტანელის ორი შვილი ოჯახში არ ცხოვრობს.

— ჩემი უფროსი ქალიშვილი, დიანა წლეულს ამთავრებს ექვანების სკოლას მასაჩუსეტსში. — ამიხსნა ბესიმ. —

ოცი წლის პარი კი ნარკომანია, ის ბრენტეუდში სახელმწიფო საავადმყოფოში იმყოფება. ნარკოტიკებს 15 წლის ასაკში მიიჭრია. რა არ გაეკეთებ — მე თვითონ პოლიციამეტი ვუფიქვანე, მაგრამ ისე იყო ჩართული, ავანადურე არ გავიძლია. ბრენტეუდსმდე სამკვარეო მიუღოთი იმპროვიზირებული ღირსი — ეს ძალიან ძვირია. ამიტომ ძარის გადამფიქროვნი მთელმა დანაშაულის მანძილზე მისი სანახაგლე არავინ არ ყოფილა.

კვირა დღითი ნორმან-ურფოსი და ბესიმ მე წავიყვანე ჩემი საყვარელი მანქანა. თუმცა ეკლესიაში უკვე აღარ დავ-

ქანით შვილის სანახაგლე შეხვედრის პირველი წუთები ძალიან უჩრბელი იყო.

— როგორ არაან ბავშვები? — მკითხა პარიმ.

— ყველანი კარგად არიან და მოციხვას ეთივლიან, — მიუღე ბესიმ.

— როგორ გეპრობიან აქ? — კითხა ნორმან-ურფოსმა.

— ყველაფერი ნორმალურადაა. გვირდებთან შვიდ თვეში გავიშვებთ. როგორა გაქვთ გაბოზის საქმე?

— კარგად — მიუღე ბესიმ. —

სახლში ყველაფერი წესრიგშია. — ასეთი სიტურისათვის მე სუნთქვა შემეცრა. ზოლოს ბესიმ როგორც იყო თქვა, ის რისი თქმაც თავიდანვე ვწაა. — იმედით მაქვს რომ შენ სასებით გაჯანმრთლებული გამიბედა, პარი.

— ნუ გეზინია, ყველაფერი წესრიგში იქნება, დედა.

— ღმერთო, მე ვიფიქვანე რომ შენ აღარასოდეს აღარ მივარები იმ სისასატელს.

კუთხეში ნორმან-ურფოსი დავინახე, ის სანახაგლე ყუთთან გახალისებულ ცეცხლზე თბებოდა. თოლის სურნი ოდგა. მივს სპორტული ჩუსტები და ქართუკი ცეცხა ყველაზე თბილი რაც ეხადა. ვკითხე — რას აკეთებ მეთქი ქუთაში ასე ვიან.

— მამამ შინიდან გამომავალი. — თქვა მან და ცეცხლს მიშვერილი ხელუბი მოიფშვინტა.

— რისთვის? — ტყულებურალოდ. — გულს ასკდება, რომ სამუშაო ვერ იშოვან.

უკვე კიბეზევე შემოიშვას ჩხუბის ხმა. ითანში რომ შევდი ყველაფერი ერთბაშად მიწვდა, მაგრამ მაინც იგრჩინობოდა დაძაბულობა: ნორმანი-ურფოსი კუთხეში მიკუნებულყო. ნახვარისი საათი დადავო მათთან, ამ უჩრბელ სიურსში. ბესიმ გასაყილებლად გამომეცა. ის პირდაპირ გაცეცხლებული იყო.

— დღეს ჩვენთან სანახაგლეა. ტყუობა ვიცივას დასაშვებია. მთორ დღეს რომ მივედი, ბესიმ ლო-

ნორმან — უმერისი და კენტეტი პირდაპირ ლეიბზე იწვნენ, საბანში შეყუთვნილიყვნენ და ასე ებრძოდნენ სიცოცხლას და თავიანთ სანინაო დავალებებს. იმ დროს ლესტ ნებადართული ქობიდა არ შევადინა, მას სადავალუ გატბნობდა. საქველმოქმედო საზოგადოებებში ახალი სადავლები შეიქმნას შევირდინე. მაგრამ ეს ორი კვირის წინაი იყო, და დღემდე

არაფერი ჩანდა, აწი შევდელი იმედით აღარ ჰქონიდა. როცა გოგონა კითხვას ცდილობს, თავბრუს ეხვევა. გავეთვითლებს მომხალეობას ბავშვებს ბესიმ აიძულებს. — ახლა მთავარია, რომ მათ რაიმე გაიხალისება მაინც მიიღონ, — მითხრა მან. — ამიტომ ვაიძულებ იმეცადი-

ნონ. ერთად რომ გამოვიდეს ხალხში იხივ დიდი ბენიერება იქნება. „მოდი და ნუ დეკარტავ რწმენას, როცა ყველაფერი ასე ხელო და ანარქის წესს უღო.“ ბესიმ ბავშვის სახელოს თავზე გავრული სურათი გასაწროა. სურათზე ქრისტე იყო გამოხატული. მე შევიყო-



შვიდით დედამიწის გარშემო.

ამ საოცარ მოგზაურობას 60 წლის წინათ შეუდგა ოთხი რუმინელი სტუდენტი. ისინი ოთხი წლის განმავლობაში გულმოდგინედ სწავლობდნენ იმ 74 სახელმწიფოს ჰავას, ისტორიას, ზნე-ჩვეულებებს, სადაც მათ უნდა გაეგოთ. რუმინულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მოგზაურები კონცერტებს მართავდნენ და დედამიწის სფეროს სხვადასხვა მერიდიანზე მცხოვრებთ რუმინეთის ხალხურ ხელოვნებას აცნობდნენ.

მოგზაურობა ხიფათებით იყო სავსე: რამ-



ნ. ზაზარაშვილი.

ღრუბლები მიჰქიან

ალბათ თქვენ ყველას გახსოვთ ნინო ბეზარაშვილის ზღაპრების კრებული. „ბროწეულის გოგონა“ ამ წიგნის გამო მწერალმა ბევრი სამადლობელო ბარათი მიიღო თავისი მკითხველისაგან. „ღრუბლები მიჰქიან“ მწერლის ახალი წიგნია. მოთხრობის გმირი დათო მკითხველს თავის ფიქრებსა და განცდებს უზიარებს. 13 წლის ბიჭს ომმა ათასი საზრუ-

გინზე იწვა და ტიროდა. პატარა რიჩარდიც მას მისწოლოდა. ქალს კისერი მთლად დაკაწრული და შეშუპებული ჰქონდა.

— გუშინ ისე მცემა, ალბათ ყველა ნეკნი ჩამტვრეული მაქვს. — მას ცრემლები გადმოსცვივდა. — მეტი აღარ შემიძლია ამის ატანა, აბა ამას ვინ გაუძლებს.

მე ვკითხვე, სად არის ნორმანუფროსი-მეთქი. ქალმა მითხრა, საავადმყოფოში.

— როცა ჩემი ცემით დაიღალა, მე ავდექი და შაქრიანი მღუღარე წყლით სავსე ქვაბი სახეში შევასხი.

მე და ნორმანი-უმცროსი საავადმყოფოში წავიდით. ნორმანი-უფროსს სახე და ცალი ხელი საშინლად ჰქონდა დათუთქული. ის იჯდა ლოგინში და თვლებს ისრესდა.

— ვერ გამიგია, შვილო, რატომ ჩაი-

დინა ეს დედაშენმა, — ამბობდა ის. — ვერაფრით ვერ გამიგია, რატომ? მერე ბალიშზე გადაწვა და ავადმყოფურმა ძიღმა წაართვა თავი.

ქუჩაში რომ გამოვედით, ვიფიქრე: აი, მე გავხდი მოწმე კიდევ ერთი აფეთქებისა, იმ ათასიდან, ყოველ კვირას რომ ხდება გეტტოში. ზაფხულის პაპანაქებაში ეს გააფთრება გროვდება და ბოლოს ქუჩაში გადმოვთხევა: იწვის სახლები, ისოცებიან ადამიანები; ცვივა ჩამსხვრეული მინები.

ისევ წამოვიდა თოვლი. ნორმანი თავის გაყინულ ბინაში წავიდა და მე გაკვირვებით გავიფიქრე: რისთვის ელიან ესენი ზაფხულს? ვერაფერი გამიგია...

მასალა გადმობეჭდილია ჟურნალ „ვოკრუბ სვეტადან“.

დენჯერზე ტყვედ ჩაუვარდნენ ბანგუის ტომის აბორიგენებს ავსტრალიაში, სამხრეთ ამერიკის ჭუნგლებში თავისქალაზე მონადირეებს ემალებოდნენ, ზოგჯერ დამიეტებს ხეზე ათევდნენ, რათა ნილოსის ნიანგების ლუკმა არ გამხდარიყვნენ... ერთი-მეორის მიყოლებით დაიღუპნენ უცხოეთში აღექსანდრე პასკუ, გეორგე ნეგრიანუ, პაულ პერვუ. მხოლოდ ერთმა, გეორგაფის მასწავლებელმა დიმიტრუ დანმა, დაასრულა დედამიწის გარშემო მოგზაურობა.



თის ქალაქ მურვარის მახლობლად მცხოვრებმა გლეხებმა. ბაზრობიდან შინისკენ წამოსვლის დროს, ოც კაცამდე რომ მოგროვდებიან, ისინი მემუსიკეს ქირაობენ, მემუსიკე წინ მიუძღვის თავის „კლიენტებს“ და საკრავს უკრავს. გლეხები მუსიკის რიტმს უწყობენ ნაბიჯს და სოფლამდე გზა შეუმჩნევლად იღვია.

რაც უფრო მაღლა —
მით უფრო ძვირი.

ბიშალის მთიანეთში მდებარე, მსოფლიოში უმაღლესი მწვერვალის ჯომოლოუნგმას პირველდამპყრობმა, ედმუნდ ჰილარიმ

მწვერვალიდან დაშვების შემდეგ ნებალის მეფეს კარგა ბლომა ჯარიმა გადაუხადა. საქმე ის არის, რომ ბიშალის მწვერვალის დასაპყრობად ოფიციალური ნებართვა და გარკვეული თანხის გადახდაა საჭირო. რაც უფრო მაღალი მწვერვალის დასაპყრობად მიეშურებიან, მეფის სალაროს მით უფრო მეტ ფულს უხდიან.

ცრუებნება — 68

ამერიკის ქალაქ ბერლინგტონის ცრუ-პენტელათა კლუბმა სიცრუეში 1968 წლის მსოფლიოს ჩემპიონად ოტის ბიულეტეტი გამოაცხადა.


ჩემპიონმა მიიღო კლუბის მედალი და სამკერდე ნიშანი, წარწერით: „არც კი ვწითლდები, ისე ვცრუობ!“ კლუბის წესდებით, ჩემპიონმა სამკერდე ნიშანი მთელი წელიწადი მოუხსნელად უნდა ატაროს. ბიულეტემა კლუბის პრეზიდენტს თხოვნით მიმართა: ნება დამრთეთ, ნიშანი ჩემი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოვიხსნაო. საქმე ის არის, რომ ბიულეტეტი მღვდელია.

მუსიკის თანხლებით.

ცნობილია, რომ მუსიკის ხმაზე ადამიანი უფრო ხალისიანად და მსუბუქად მიაბიჯებს. ეს დიდი ხანია შენიშნეს ინდოე-

ნავი გაუჩინა და ისიც ვაჟკაცივით ჩაება საოჯახო საქმეებში.


დათოს მამა ომიდან ხეივანი დაბრუნდა, მაღლე მამამ მანქანა მიიღო. ომგადახდის ოჯახში იმედის შუქი შემოიჭრა აი, დედა, დათო და მამა ერთად მიჰქრიან ქალაქი-



საკენ, გზებზე წერაქვებ-მოამარჯვებელი ახალგაზრდობა გამოფენილა. მშვიდობიან ცხოვრებას თავისი საზრუნავი აქვს. შრომის საერთო ფერხულმა ერთიორად წაახალისა ბიჭუნა და სიკეთით აუფსო გული.

მოთხრობები
რობინ ჰუდზე

რობინ ჰუდი შუასაუკუნეების ინგლისის ლენდარული გმირია. მასზე ბევრი ხალხური ბალადა შეიქმნა. თაობიდან თაობაში გადადიოდა მისი დიდი სიკეთისა და მამაცობის ამბავი. ამ თვისებებით იგი ძალზე მოგვაგონებს ქართველი ხალხის საყვარელ გმირს არსენა ოძელაშვილს. არსენაზე თქმული სიტყვები რობინ ჰუდზეც თამამად შეგვიძლია გავიმეოროთ: „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა...“ რობინ ჰუდზე შეთხზულ ბალადებში მოთხრობილია, როგორ ეხმარება იგი მემამულეთა და უცხოელ მჩაგვრელთა მიერ შევიწროებულ ღარიბ ხალხს. როგორ სძულს ყველა მჩაგვრელი. ამ წიგნში მოთხრობილია რობინ ჰუდის და მისი „მხიარული მეგობრების“ საინტერესო და



მიზიდველი თავგადასავალი.

სადეჟ ადამიანი.

სიხოსხლის ნაჰარო

პროგრესული სპარსელი მწერლის სადეჟ ჰეიდათის ზღაპარი „სიხოსხლის წყარო“ მეორე მსოფლიო ომის მრისხანე დღეებშია შექმნილი. მწერალმა ღრმა რწმენა გამოხატა მსოფლიოს პროგრესული ძალების მიმართ, რომელიც უთუოდ დაამარცხებდა ფაშისტს. ზღაპარი ალემგორიულია. მთავარი გმირი ღარიბი მე-

წალის შვილი აჰმადაქია. უზრუნველი ცხოვრების მოყვარული ძმები ოქროსა და მთვარის ქვეყანაში აღმოჩნდებიან. აქ ისინი სიხარბისაგან ბრმავდებიან და სამუდამოდ უმეცართა და ყრუთა ქვეყანაში რჩებიან. ნაბოლარა აჰმადაქი კი შრომას არ ერიდება — მარადიულ გაზაფხულის ქვეყანაში ხელობას შეისწავლის. აჰმადაქს პატიოსანი, შრომისმოყვარე ხალხის ქვეყნიდან უკვდავების წყალი მოაქვს და ოქროსა და მთვარის ქვეყნის დაბეჩავებულ ხალხს მხსნელად ევლინება.





ჭიანჭველის ქსე

ჭიანჭველები კოლექტიურად მცხოვრები მწერებია და, რა თქმა უნდა, ერთმანეთთან მუდმივი ურთიერთობა აქვთ. მაგრამ როგორ ახერხებენ ამას, რა ენაზე?

ჩავატაროთ ასეთი ცდა: ჭიანჭველების ბუდის შორიანხლოს ქაღალდის ფურცელი დავდოთ და ზედ შაქრის სიროფი დავაწვეთოთ. შემდეგ ფურცელზე რამდენიმე ჭიანჭველა დავსვათ და თვალყური ვადევნოთ.

აი, ჭიანჭველებმა სიროფით გული იჭერეს და შინისკენ გასწიეს. იქ, ეტყობა, თავისიანებს ყველაფერი „უამბეს“ და ახლა ჭიანჭველების მთელი რაზმი მოეშურება ნადავლისაკენ.

საკითხავია, რა ხერხებით ამცნეს თანამოძმეებს შინ დაბრუნებულმა ჭიანჭველებმა, ამა და ამ ადგილას ნუგბარი საჭმელია? თურმე — სუნის საშუალებით. ჭიანჭველის სხეულში არის განსაკუთრებული ჭირკვლები, რომლებიც სუნთან ნივთიერებებს გამოჰყოფს.

იმისათვის, რომ თვისტომს ახალადმოჩენილი საკვებისაკენ გზა ასწავლოს, შინისკენ მიმავალი ჭიანჭველა პაწაწინა ჭირკვლებიდან სუნთან ნივთიერებებს გამოჰყოფს. ამ ნივთიერებებით გაუღენთილი ნესტარი გზადაგზა მიწას ეხება და სუნთან ღრმულებს ტოვებს. სწორედ ამ კვალს მიჰყვება ნადავლისკენ მიმავალი სხვა ჭიანჭველა.


ჭიანჭველას შუბლზე აქვს ძალზე მოძრავი ულვაში-ანტენები და, რასაც კი გზაში წააწყდება, ყველაფერს ამ ანტენებით ეხება და ყნოსავს.

მხედველობა ჭიანჭველას სუსტადა აქვს განვითარებული, სამაგიეროდ, საუცხოო უნარით არის დაჯილდოებული: სუნით შეუძლია იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმისაა ესა თუ ის საგანი.

ჭიანჭველები ხშირად ომობენ. როგორ არჩევენ ჭიანჭველა თავისიანს მტრისაგან? მეომარ ჭიანჭველებს ხომ არც განსაკუთრებული, „ჭარისკაცური“ ფორმა აცვიათ და არც საბრძოლო ყიფინას გამოსცემენ!

ჭიანჭველას ამ დროს ულვაში-ანტენები ეხმარება. შეახებს თუ არა ამ ანტენებს თავის ახლო მყოფს, მაშინვე ხვდება, თავისიანია თუ უცხო.

სუნთან ნივთიერებები, რომლებსაც ჭიანჭველა თავის გზაზე ტოვებს, ძალიან მალე, თითქმის ორი წუთის მერე აქროლდება ხოლმე. ამასაც თავისი ღრმა აზრი აქვს: ძველმა კვალმა ჭიანჭველა არ უნდა შეაცდინოს. გარდა ამისა, იგი სუნის სიმძაფრის მიხედვით იგებს, რა



რაოდენობის საკვებია აღმოჩენილი. შინ მიმავალი ჭიანჭველა სუნთან ნივთიერებებს მხოლოდ მაშინ გამოყოფს, თუ მან საკვები იპოვნა, თანაც ბევრი საკვები. რაც უფრო დიდი რაოდენობით არის საკვები ნაპოვნი, სუნთან ღრმულები მით უფრო ახლო-მახლოს არის და სუნიც უფრო მძაფრია.

სუნთან ნივთიერებებს, რომლებიც ჭიანჭველებს ერთმანეთთან ურთიერთობაში ეხმარება, ფერომონებს ეძახიან. ისინი ჭიანჭველებს საკმაოდ ბლომად აქვთ. ფერომონთაგან ერთნი განგაშის ატეხას ემსახურებიან და ჭიანჭველებს დაუყოვნებლივ, გადაწყვეტი მოქმედებისაკენ „მოუწოდებენ“, მეორენი მუშა ჭიანჭველებს თავს უყრიან, მესამენი მათ ბუდის დასუფთავებას აიძულებენ, მეოთხენი — ჭიანჭველების მეთაურის — დედოფლის მოვლას, მეხუთენი — ჩვილი ჭიანჭველებისათვის ზრუნვას...

ამჟამად ფერომონები ოქროზე ძვირია, მათი მიღება ძალზე ძნელია.

წინათ ეგონათ, თითქოს ჭიანჭველები თავიანთ „მიცვალებულებს“ მარხავენ. აღწერილი იყო, როგორ მიემარ-




ნახმარი პასრისგან...

ნახმარ კასრს ორი სამკუთხა ძელი შეუდგით, კასრის ფსკერში იმოდენა ჭრილი გააკე-


თეთ, რომ თქვენი ძალი იოლად შეეტიოს და შესანიშნავი საძალე გამოვა. კასრს ირგვლივ ტოლი შემოაფინეთ, აღარც წყალს გაატარებს და ძაღლს სითბოც არ მოაკლდება.



კასრი შუაზე გადაქვით და ორ „ქოთანს“ მიიღებთ. შეგიძლიათ იგი შინ ან აივანზე დადგათ, თუ არა და, გამოაცალეთ ფსკერი, მიწაში ჩადგით და რაც გენებოთ ის ჩარგეთ შიგ.



კასრი წყაროსაც შეგიძლიათ შეუდგათ და სიღრმიდან ამომავალ წყალსაც დაადგათ ზემოდან.



თებოდა ორმწკრივად დაწყობილი მუშა ჭიანჭველების სამგლოვიარო პროცესია, როგორ გათხარეს საფლავი და ასე შემდეგ. მაგრამ ახლა ცნობილია, რომ არაფერი ამის მსგავსი არ ხდება. ჭიანჭველები დახოცილ ამხანაგებს თავიანთი ბუდიდან მოშორების მიზნით, ერთი-მეორეზე აწყობენ. ამას აიძულებს მათ განსაკუთრებული ფერომონი, რომელიც ჭიანჭველის გვამის გახრწნის შედეგად წარმოიქმნება.

ჭიანჭველები დიდი პეწენიები არიან. მათს ბუდეში მუდამ სანიმუშო სისუფთავება, თვითონაც უოველთვის სუფთად არიან.

ჭიანჭველას ბევრი ძილი არ უყვარს, სულ რაღაც სამი საათი თუ სძინავს, ოღონდ, მისთვის სულერთია როდის დაიძინებს — დღისით თუ ღამით. ამ დროს თუ კარგად არ შეანჯღრე, არ გამოედვიძება.

ჩვეულებრივ, ჭიანჭველის ჭკვევები ინსტიქტურია, იგი თავისი წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მიღებული პროგრამით მოქმედებს. მაგრამ ზოგჯერ, რაიმე მოულოდნელ წინააღმდეგობას რომ წააწყდება, აღმოჩნდება — მას ინტელექტის რაღაც ნაწილი მაინც ჰქონია.



მაგალითად, იყო ასეთი შემთხვევა. სამხრეთამერიკული ჭიანჭველების გზა ტრამვაის ლიანდაგზე გადადიოდა. ტრამვაი წამდაუწუმ უღეტდა მათ. ჭიანჭველებიც ადგნენ და ლიანდაგის ქვეშ გვირაბი გაიყვანეს. როცა მათ განზრახ შეუშალეს ხელი, გვირაბი სხვა ადგილას გაჭრეს.

ერთხელ მეცნიერებმა იმ ხის ღეროს, რომელზეც ჭიანჭველები არბოდნენ და ჩამორბოდნენ, ფისის რგოლი შემოარტყეს. ამ მოულოდნელ დაბრკოლებას ჭიანჭველები დიდად არ შეუშფოთებია: მიწა და კენჭები ამოზიდეს და რგოლზე ხიდი გადეს, სხვა ცდის დროს კი ფისის რგოლი მდილის გვამებით მოკირწყლეს.

როგორც ვხედავთ, ეს იმას ჰგავს, რომ ჭიანჭველები ერთგვარი სახით, „შეგნებულად“ მოქმედებენ.

...იონი ნატურალისტი

ერთმანეთზე ჩამოცმული კასრები, გარედან ბეტონი ჩაასხით, ბეტონი გაშრება, ხე შემოაცალეთ და ჭაც მზად გექნებათ. თუ ბეტონი არა გაქვთ, ჩატოვეთ შიგ კასრები, და ორ-სამ წელიწადს ისინიც მოგეხმარებათ.




ჭიშკრის წინ ხშირად რუა ხოლმე გაჭრილი. ჩადგით შიგ ფსკერგამოცილი კასრი (სასურველია მუხისა), ზემოდან მიწა წააყარეთ და ეზოში შესასვლელი ხიდი მზად იქნება.




ცოტა დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ, თუ გაზაფხულის დამდეგს ძველ კასრში კარგ მიწას ჩაჰყრით, კედელში შურისოდენა ნახვრეტებს გაუკეთებთ და შიგ კიტრის თესლს შეაკვებთ, ნახვრეტიდან მალე გამოყოფს თავს კიტრის პატარა ყლორტები. როცა დათბება, კასრი აივანზე ან ეზოში გაიტანეთ და მალე საადრეო კიტრის მოსავალს მოიწვეთ.

თუ სახლის აშენებისას მყარი სვეტი გინდათ დააყენოთ და თანაც იოლად გამოხვიდეთ, სვეტის საძირკველში კასრი ჩადგით, შიგ ქვიშა ჩაყარეთ, ზემოდან ცემენტის ნაზავი დაასხით და სვეტს საძირკველი მზად ექნება.




ვის არ უყვარს ბოლში კარგად გამოყვანილი შაშხი, თევზი, ძხვეული. მაგრამ ძალიან ცოტამ იცის, რომ პროდუქტის ბოლში გამოყვანა თვითონაც შეუძლია, ოღონდ... აქაც კასრია საჭირო. როგორ კეთდება ეს? დახედეთ ნახატს



მოტივტივე ნავმისადგომისა თუ ტივის გასამართავად კასრები პირდაპირ მისწრებაა, ოღონდ წინდაწინ კარგად უნდა გაუღნოთ ფისით.

ერთმანეთზე დაადგოთ სამი ან მეტი კასრი, ისე, როგორც ნახატზეა ნაჩვენები და შესანიშნავი საკურდღლე თუ საქათმე გამოვა.



პატარა ჭას რომ ამოთხრით, თუ ამოშენება გაგიჭირდათ, ჩადგით შიგ



მამა — დოლარი?! რისთვის გინდა?

ბები — უნდა ვივარჯიშო: დღეში თითო ნაყინი უნდა ვჭამო, რომ სიცოცხეს შევჩერებო.

ეს, რომ, ერთი ხის გარდა, ყველა ხე ვაშლით იყო დახუნძლული. ქალაქელებს გაუკვირდათ, ამ ერთ ხეს რატომ არ ასხია ნაყოფიო. იქვე მოთამაშე პატარ ბიჭს დაუძახეს და უთხრეს:

— ფულს მოგცემთ, ოღონდ გვითხარი, ამ ხეს ვაშლი რატომ არ ასხია?

— ეს მუხაა, ვაშლი რად ესხმება? — გაიკვირვა ბიჭმა.

მამასთან მოსიერნე სემს დიდი, შავი ძაღლი შემოხვდა. ძაღლმა მათ ყეფა დაუწყო. სემმა შინისკენ იბრუნა პირი.

— ნუ გეშინია, სემ, ხომ იცი ანდაზა: „მყეფარა ძაღლი არ იკბინებაო“, — შეაჩერა მამამ.

— მე და შენ კი ვიცით ეს ანდაზა, მაგრამ ძაღლმაც იცის?

მასწავლებელი — ჯონ, რატომ დაიგვიანე?

ჯონი — მაპატიეთ, მასწავლებელო, ყურები და კისერი დავიბანე, მეორედ აღარ ჩავიდენ.

დედა — ჯეინ, სად არის მერი?

ჯეინი — თუ ყინული სქელია, როგორც მერი ფიქრობს, მაშინ ციგაობს, მაგრამ, თუ თხელია, როგორც მე ვფიქრობ, — მაშინ ცურაობს.

მასწავლებელი — რამდენი ომი იყო ესპანეთში მეთხუთმეტე საუკუნეში?

მოსწავლე — ექვსი.

მასწავლებელი — აბა ჩამოთვალე!

მოსწავლე — ერთი, ორი, სამი, ოთხი. ხუთი, ექვსი.

მასწავლებელი — გასაგებია...

ბიჭი — მამა, როცა დიდი გავიზრდები, ჩრდილოეთის მკვლევარი უნდა გამოვიდე.

მამა — კარგი აზრია, ბილ.

ბიჭი — ჰოდა, დღეში ერთი დოლარი მიწდა.

ორი ქალაქელი კაცი სოფელში ჩავიდა. ბაღში გაიარეს და შეამჩნი-

ინგლისურიდან თარგმნა
მანანა სიღამონიძე.

ს ა კ ი ე ბ ე ლ ი

ა. კლაბუკოვი — ახალგაზრდა წითელარმიელის ბაღა- და (დექსი, თარგმნა ა. გეწაძემ)	1	მ. პუტლინა — წეროკინა (მოთხრობა, თარგმნა დ. ვა- დაქოკოიამ)	18
ბ. ლაქაძე — ჩემი მასწავლებელი ლენინი (მოთხრობა, გერმანულიდან თარგმნა შ. ამირანაშვილმა)	2	პ. პარპსი — ფონტენელების ოჯახის ცხოვრების ქრო- ნიკა (წერილი)	25
ლ. სულაბერიძე — საჩინომ გამოაჩინოს! (ნარკვევი)	3	ქ ა დ ო ს ნ უ რ ი ს ა რ კ ე ახალი წიგნები	28 29
დ. გრიგოლაშვილი — ბორანზე (მოთხრობა, დასას- რული)	7	ბ უ ნ ე ბ ი ს კ ა რ	30
ნ. ჯანაბერიძე — ქართული ხუროთმოძღვრება (წერილი) 18		გ ა მ ო გ ა დ გ ე ბ ი	30
		უ ც ხ ო უ რ ი ი უ მ ო რ ი	32
		ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი	გარეკ. III

გარეკანზე „რთველი“ მხატვარი ზ. შამშარიანი.

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შვილია.

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა ბაბუღია, ნოდარ გუგუშვილი, ჯუანხერ კაკაბაძე, სერგო კლდიაშვილი, შუკრან ლეგანიძე, ზურაბ ლეშაშვილი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გიორგი ფოცხვიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

<p>ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-03 93-31-81 პ/მგ. მდივანის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01</p>	<p>საქ. კ. ც. — გამომცემლობის სტამბა თბილისი ლენინის ქ. № 14. «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14. გადაცემა ასაწუბად 18/IX-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/X-69 წ. ქალაქის ფორმატი 60X90¹/₂, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. პირობითი 4. შეჯ. № 2788. ტირ. 101 700. უა 02468.</p>	<p>ფასი 20 კაპიკი</p>
----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

კ რ მ ს ვ მ რ დ ი

კონტინენტალურად:

1. სახელმწიფო ევროპაში; 5. პიონერთა საერთაშორისო ბანაკი; 6. მგალობელი ფრინველი; 11. მდინარე ევროპაში; 13. ხილი; 14. მდინარე შუააზიაში; 15. სოციალისტური ქვეყანა; 19. მდინარე ციმბირში; 21. ნ. ბარათაშვილის ლექსი.


ვერტიკალურად:

2. რაიონული ცენტრი დასავლეთ საქართველოში; 3. ქედი ცენტრალურ აზიაში; 4. მდინარე საქართველოში; 7. ქართული საესტრადო ანსამბლი; 8. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე; 9.

კონტინენტი; 10. ფრინველი; 11. ლითონი; 12. სახელმწიფო აზიაში; 16. ევროპის ერთ-ერთი სახელმწიფოს დედაქალაქი. 17. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 18. სახელმწიფო აზიაში; 20. სივრცის საზოგადოებრივი ძველ საქართველოში; 21. გ. ტაბიძის ლექსი; 22. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში.

მანანა ჩხეიძე,

საგარეო რაიონის სოფელ უჯარმის 8-წლიანი სკოლის VII კლასის მოსწავლე.



პ ე ს უ ს ე ბ ი

**№ 10-ში მოთავსებულ
სხრაკლიგულზე**

აგა, აქმსენით!

იმისათვის, რომ ამოვხსნათ ამოცანა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავინოვროს ყუთები. შემდეგ, პირველი ნომერი ყუთიდან ამოვიღოთ 1 ცალი მონეტა, მეორე ნომრიდან — ორი ცალი, მესამედან — სამი ცალი, მეათედან 10 ცალი და ა. შ. სულ ხელთ გვექნება 55 მონეტა. ყველა მო-

ნეტა რომ ნამდვილი იყოს, საერთო წონა 55 გრამი იქნებოდა. ავწონოთ ყველა ერთად ვთქვათ, მივიღეთ 54,5 გრამი. დავასკვნით, რომ ყალბი პირველი ყუთი ყოფილა. თუ საერთო წონა 54 გრამი გამოვიდა, მაშინ მეორე ყუთი ყოფილა ყალბი და ა. შ.

კ რ მ ს ვ მ რ დ ი

ვერტიკალურად:

1. კალამი; 2. დანია; 3. ქვაბი; 4. ფიჯია; 10. უნაგირი; 15. ენისეი; 16. ბოლოკი; 17. ტარტუ; 18. ირემი.

კონტინენტალურად:

5. მარაო; 6. შვრია;

7. ლამაზი; 8. ბრინჯი; 9. აგური; 11. ფუთი; 12. აბრა; 13. ყარაგიოზი; 14. მეფე; 16. ბალი; 17. ტვინი; 19. აფრიკა; 20. რულონი; 21. კანტი; 22. ომსკი.



სათამაშო მოედანი ოთხ თანაბარ ნაწილად გაყავით. ორი შუა, ნეიტრალური ზონა და იქ შესვლა არ შეიძლება. თამაშის აზრი ის არის, რომ ბურთი მოწინააღმდეგეს მოარტყა. იგი კი, ცხადია, ცდილობს, თავიდან აიცილოს დარტყმა. ის, ვისაც ბურთი მოხვდება, თამაშიდან გადის. გამარჯვებული ის არის, ვინც ადრე გამოიყვანს მოწინააღმდეგის გუნდის ყველა წევრს მწყობრიდან.

